გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№53 (1079) 15 - 17 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## სტუდენტები აქციებით იმუქრებიან

გვ. 7

რას ითხოვენ ახალგაზრდები მთავრობისგან

## „თუ კორძაიამ ფრაქცია დატოვა, პარტიაც უნდა დატოვოს“

გვ. 3

რა ვერ გაიყვეს „ოცნება“-კორძაიამ და რაფომ არჩია „საკუთარი მომავლისთვის“ რესპუბლიკელებში გადასვლა

## ლენი გაძვირდება?

გვ. 5

დაუკმაყოფილებს თუ არა სემეკი მოთხოვნას „ენერგო-პრო ჯორჯიას“

# რას აპირებს „იდენტობა“ 17 მაისს

ჩაფარდება თუ არა ჰომოსექსუალების აქცია და გამოიყვანს თუ არა საპაფრიარქო ქუჩაში 200 ათას მართლმადიდებელს

გვ. 4

## სამი კაცის მკვლელი ლალიკოს აღსარება

როგორ გაიფანეს ნახევარი მილიონი ერთი სახლიდან მძარცველებმა და რაფომ გააუპატიურეს „პადელენიკი“ ქალი

გვ. 6

პუბლიკის დეტალები

## ბათუმის №3 დანესებულების მსჯავრდებულები შველას ითხოვენ

გვ. 8

გაითვალისწინებს თუ არა სასჯელაღსრულების სამინისტრო სახალხო დამცველის რეკომენდაციებს

## „საქართველოში მარტივი საგადასახადო სისტემა და დაბალი გადასახადებია“

EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრის გახსნის ცერემონიალზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში არსებულ საგადასახადო სისტემაზე. მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოში საგადასახადო და საბაჟო პროცედურებია, რასაც ადასტურებს საერთაშორისო რეიტინგები: **„შარშან ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რაც ევროპული ინტეგრაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამ ხელშეკრულებით იქმნება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, რომელიც გვთავაზობს საინვესტიციო და ეკონომიკური ზრდის მრავალმხრივ შესაძლებლობებს. ჩვენი მიზანია, ბიზნესის ხელშეწყობისა და კერძო სექტორის გაფართოების გზით, ხელი შევუწყოთ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და ცხოვრების დონის ამაღლებას. ეს უფრო დაგვაახლოებს საერთო ევროპულ ოჯახთან. ჩემი მთავრობის ურყევი გადაწყვეტილებაა ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების სწრაფი განხორციელება. რეგიონში შექმნილმა რთულმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. თუმცა, საქართველოში შენარჩუნებულია ეკონომიკური ზრდა და გაუმჯობესებულია ბიზნესგარემო როგორც საკუთრების უფლების დაცვის, ისე საგადასახადო ტვირთის უფრო შემსუბუქებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ოპტიმიზაციის მიმართულებით. საქართველო არის სრულიად ღია ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მარტივი საგადასახადო სისტემითა და დაბალი გადასახადებით. ჩვენ სულ ექვსი ტიპის გადასახადი გვაქვს; საერთოდ არ გვაქვს სოციალური გადასახადი; ჩვენ გავაუქმეთ იმპორტის გადასახადი საქონლის თითქმის 85%-ზე, ხოლო დანარჩენზე გვაქვს 5 ან 12%-იანი განაკვეთი; ჩვენ გვაქვს ძალიან მარტივი საგადასახადო და საბაჟო პროცედურები, რასაც ადასტურებს ის საერთაშორისო რეიტინგები, რომლებშიც საქართველოს წამყვანი პოზიციები უკავია“.**

პრემიერ-მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოს, ბიზნესის კეთების რეიტინგში მსოფლიოში მე-15 ადგილი, ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში კი მე-8 ადგილი უჭირავს: **„ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში საკუთრების რეგისტრაციის თვალსაზრისით საქართველო პირველ ადგილზე იყო. თღჩ ატრიხ-ის ინდექსის მიხედვით, კორუფციის სიმცირის რეიტინგში საქართველო მე-11 ადგილზეა 197 ქვეყანას შორის. ვუსწრებთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ნორვეგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია. ღია მმართველობის 2015 წლის ინდექსის თანახმად, საქართველო 29-ე ადგილზეა მსოფლიოში და ლიდერობს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ერიტაგე ოუნდატიონ-ის რეიტინგის მიხედვით — მსოფლიოში 22-ე ადგილი“.**

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის როგორც ენერგეტიკული და სატრანზიტო ჰაბი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება: **„ჩვენ გვაქვს რესურსი რეგიონალური ჰაბი ვიყოთ. აქ შექმნილია სათანადო გარემო საერთაშორისო კომპანიების განთავსებისა და რეგიონული საფინანსო ცენტრის ჩამოყალიბებისათვის. საქართველო ელექტროენერგიის ექსპორტიორი და ამ სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად მიმზიდველი ქვეყანა გახლავთ“.**

მისივე თქმით, ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესისთვის ქვეყანაში კარგი შესაძლებლობაა წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ინვესტირებისათვის: **„ამას ისიც ემატება, რომ ქართული წარმოების პროდუქციისათვის ევროპის ბაზარი გაიხსნა და მთლიანად, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები, შესაძლებლობა გვაქვს 900-მილიონიან მომხმარებელთა ბაზარზე გავიდეთ. ჩვენთვის პრიორიტეტია ტურისტული ბიზნესის განვითარება. ბოლო წლებში ტურისტების რაოდენობის მკვეთრი ზრდა შეიმჩნევა, რომლებსაც საქართველო თავისი ღირსშესანიშნაობებით და უნიკალური ბუნებით იზიდავს“.**

პრემიერ-მინისტრმა საქართველოში ინვესტორებისთვის არსებულ სასურველ გარემოზეც ისაუბრა. მისი თქმით, ჩვენი ქვეყანა ინვესტორებს ხარისხიან, გამჭვირვალე და პროგნოზირებად კანონებს, ჯანსაღ საარბიტრაციო პროცედურებს, სასამართლო განჩინებათა სწრაფ და ეფექტურ აღსრულებას სთავაზობს.

EBRD-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ჰარის გეორგიადესის განცხადებით, 2014 წელი ბანკისთვის საქართველოში წარმატებული იყო, რადგან განხორციელებულმა ინვესტიციებმა 215 მილიონი შეადგინა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას გეორგიადესმა საქართველოს ხელისუფლებას მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა: „**ყრილობა სამხრეთ კავკასიაში პირველად ტარდება. აღფრთოვანებული ვარ, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საბჭო აქ იკრიბება. ეს კიდევ ერთხელ ასახავს იმ მნიშვნელობას, რომელიც ბანკს ამ ქვეყანაში და ამ რეგიონში აქვს“.** EBRD-ის პრეზიდენტის სერ სუმა ჩაკრაბარტის განცხადებით, საქართველოს წარმატება EBRD-ის წარმატებაა, რადგან ეს ქვეყანასა და ბანკს შორის წარმატებული პარტნიორობის შედეგია.

*„ვერსიანიუსი“*



## „რუსეთისა და საქართველოს უმაღლესი ლიდერების შეხვედრის მოსამზადებლად პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა“

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე მომავალში საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. თუმცა აცხადებს, რომ ამ დრომდე გამართულ არც ერთ კონსულტაციაზე ამ თემაზე არ უსაუბრიათ. აბაშიძის თქმით, ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მაღალი დონის შეხვედრების მომზადება ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს: **„მოსკოვშიც და თბილისშიც გაკეთდა კომენტარები, რომ ორი ქვეყნის პირველი პირების შეხვედრა, ადრე თუ გვიან, უნდა შედგეს. ჩვენი პოზიცია ასეთია — თუკი შეხვედრა მომზადდება, ის აუცილებლად რეალურ შედეგებზე უნდა იყოს ორიენტირებული. მხედველობაში გვაქვს აფხაზეთის კონფლიქტი, ცხინვალის რეგიონი და ის, რომ რაღაც კონკრეტული ნაბიჯი უნდა გადაიდგას“.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთის უმაღლეს ლიდერებს შორის მაღალ დონეზე კონტაქტის პერსპექტივა შენარჩუნებულია: **„პერსპექტივა ყოველთვის არსებობს, მაგრამ რეალობად რომ იქცეს, მუშაობაა საჭირო. ჩვენ კვლავაც მივიჩნევთ, რომ მაღალი და მით უმეტეს, უმაღლესი დონის კონტაქტები კეთილსინდისიერად უნდა მომზადდეს, რადგან მოუმზადებელ კონტაქტებს ყოველთვის არ მოაქვს ღირებული შედეგები. ჩემი აზრით, ჩვენს ქართველ პარტნიორებს ეს კარგად ესმით. სწორედ უფრო მაღალი დონის კონტაქტებისთვის შესაბამისი ნიადაგის მოსამზადებლად ვმუშაობთ მე და ზურაბ აბაშიძე ორივე ქვეყნის ხელმძღვანელების სახელით“.**

გრიგორი კარასინი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე მორიგ შეხვედრას პრაღაში ივნისის შუა რიცხვებში გეგმავენ.

*„პირველი“*

## „საქართველო-გერმანიის ურთიერთობებს ორ ქვეყანას შორის საუკეთესო თანამშრომლობის მაგალითად განვიხილავ“

ეს განცხადება პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (KFW) დელეგაციის შეხვედრაზე განაცხადა. მხარეებმა ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და იმ მიმდინარე პროექტებზე, რომელსაც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს.

აღინიშნა, რომ დღეს, გერმანიის მიერ, ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოსთვის საჯარო სექტორში გამოყოფილია დაახლოებით 465 მლნ ევრო გრანტისა და შეღავათიანი სესხის სახით. მიმდინარეობს 7 პროექტი წყლისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში, რომელთა მოცულობა შეადგენს დაახლოებით 192 მლნ ევროს.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დელეგაციას წარმატებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია დაესწრნენ.

*„პირველი“*

## შსს-ს რეფორმების უწყებათშორისი კომისიის წევრებმა არასამთავრობოებთან მორიგი შეხვედრა გამართეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების უწყებათშორისი კომისიის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის ორგანიზატორი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია იყო. შეხვედრაზე კომისიის წევრებმა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ის შენიშვნები და რეკომენდაციები განიხილეს, რაც ორგანიზაციებმა წინა შეხვედრისას შსს-ს რეფორმირების კონცეფციის გაცნობის შემდეგ მოამზადეს.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ შსს-ს რეფორმირება და შსს-სა და უსაფრთხოების სამსახურების ფუნქციათა გამიჯვნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა აუცილებელია სამსახურებს შორის ფუნქციების მკაცრად გამიჯვნა და კანონპროექტში არსებული რიგი საკითხების დაზუსტება, რათა კანონი სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდეს. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს სხვადასხვა ხარვეზზე, რაც მათი აზრით პროექტს გააჩნია.

**„მივესალმებით, რომ ხდება შსს-სა და უსაფრთხოების სამსახურების გაყოფა. ასევე დადებითია, რომ უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებული ხდება პარლამენტის წინაშე. თუმცა არ უნდა მოხდეს ფუნქციათა დუბლირება და ფუნქციები უნდა იყოს ძალიან მკაცრად გამიჯნული“,** — აღნიშნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენელმა ლიკა საჯაიამ.

მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია ცქიტიშვილმა, რომელიც შეხვედრის მოდერატორი იყო, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა მთავრობის მომზადებულ რეფორმებსა და ცალკეულ ცვლილებებში, ხაზი გაუსვა მთავრობის მზაობას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის სამომავლოდაც.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განცხადებით, არასამთავრობოების მიერ გამოთქმული შენიშვნების ნაწილი კანონპროექტში მთავრობისათვის წარდგენამდე აისახება, თუმცა ცვლილებებზე ერთობლივი მუშაობა და პროექტის დახვეწა გაგრძელდება როგორც საპარლამენტო განხილვებამდე, ისე განხილვების დროს.

**„ჩვენ ყურადღებით ვეცნობით თქვენს შეფასებებს. თქვენ მიერ წარმოდგენილი თითოეული შენიშვნა ან გათვალისწინებული იქნება, ან არგუმენტებზე დაყრდნობით იქნება უარყოფილი“,** — განუცხადა დამსწრეებს ლევან იზორიამ.

მისივე თქმით, შსს-სა და უსაფრთხოების სამსახურის გამიჯვნა ამ სფეროში რეფორმის მხოლოდ საწყისი ეტაპია და სტრუქტურული ცვლილებები სამომავლოდაც ინტენსიურად გაგრძელდება.

*„ვერსიანიუსი“*

# „თუ კორძაიამ ფრაქცია დატოვა, პარტიაც უნდა დატოვოს“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

**უმრავლესობის დეპუტატმა თამარ კორძაიამ ფრაქცია „ოცნება“ დატოვა, თუმცა კვლავ უმრავლესობაში დარჩა, რადგან რესპუბლიკურ პარტიაში გადავიდა. ამ დროისთვის, კორძაია პარტია „ოცნებისა“ და ფრაქცია რესპუბლიკელების წევრია, თუმცა არც თავად და არც რესპუბლიკელები მის მიერ პარტიის დატოვებას არ გამორიცხავენ. ერთი შეხედვით, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან კორძაიას მისი კოლეგების დიდი ნაწილი, არაფორმალურად, ისედაც რესპუბლიკელად მოიაზრებდა. მეტიც, ცოტა ხნის წინ, ფრაქციიდან მისი გაგდების საკითხი უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემაც დააყენა. დღეს კი ჩნდება კითხვები: რატომ მიიღო გადაწყვეტილება ახლა, როცა გუნდში განსხვავებული მოსაზრებები არ არსებობს და არც მის გაშვებას აპირებდა ვინმე, თანაც რესპუბლიკელებს ფრაქცია არ ეშლებათ, ორი დეპუტატის გამინისტრებით და დახმარებასაც არ საჭიროებენ?**

## რა ვერ გაიყვეს „ოცნება“-კორძაიამ და რატომ არჩია „საკუთარი მომავლისთვის“ რესპუბლიკელებში გადასვლა

გასულ ორ წელიწადს თვალს თუ გადავავლებთ, იოლი შესამჩნევია, რომ ეს გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში ან თუნდაც თვეებში არ მომწიფებულა. ვიდრე თამარ კორძაია პარლამენტში შევიდოდა, ნაძალადევში, საარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში, ვრცელდებოდა ხმები, პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებსო. ამის შესახებ პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე გიორგი გაბედავა აქტიურად საუბრობდა და ირწმუნებოდა, კორძაია საზოგადოებაში სხვადასხვა კვლევას ატარებსო. თუმცა ეს ჭორი კორძაიასა და „ოცნებას“ შორის დაპირისპირების საგანი არასოდეს გამხდარა. საკუთარი ფრაქციის წევრებმა კოლეგა პირველად მაშინ გააკრიტიკეს, როცა თვითმმართველობის კოდექსზე მსჯელობაში საქართველოს პატრიარქი, ილია მეორე ჩაება და განაცხადა, რომ ეს რეფორმა ქვეყნის დაშლას შეუწყობდა ხელს. პატრიარქს პარლამენტიდან თამამი ფრაზებით მხოლოდ კორძაია გამოეხმაურა და თქვა, რომ იგი ზედმეტად ჩაერია ხელისუფლების ფუნქციებში. აზრთა სხვადასხვაობა გუნდსა და დეპუტატს შორის ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას გამოიკვეთა, როცა, სხვებისგან განსხვავებით, კორძაიას დათმობაზე წასვლა არ სურდა. ამის მერე, ნაძალადევის მაჟორიტარმა ე.წ. მოსმენების კანონის მიღებისას იაქტიურა. დეპუტატი „ვერსიასთანაც“ ღიად საუბრობდა და ამბობდა, რომ პარლამენტმა ფარული მოსმენისგან დამცავი სრულყოფილი მექანიზმის მიღება ვერ შეძლო. მისი და რესპუბლიკელების შეფასებები ამ საკითხში ერთმანეთს სრულად დაემთხვა. თამარ კორძაიას განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა შუღლის გამღვივებელთა შესახებ კანონზეც. ასევე, იგი ერთ-ერთი გამონაკლისი იყო, ვინც ღიად დაგმო გოგი თოფაძის განცხადებები ნატო-სა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ალბათ, სწორედ ამ ყველაფრის გამო, ფრაქციიდან მისი გაშვების საკითხი ორიოდ თვის წინ უკვე დააყენეს. კერძოდ, დავით საგანელიძემ ფრაქციის სხდომაზე განაცხადა, რომ კორძაია უნდა წასულიყო.

**„საუბარი ფრაქციის სხდომაზე შედგა. რა დავმალო, როცა დავით საგანელიძემ თავად თქვა, რომ მას, როგორც უმრავლესობის ლიდერს, არ მოსწონს, როცა დეპუტატები ჩვენს პრინციპულ პოზიციებს არ ვთმობთ. როცა ფრაქცია და უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ვეთანხმები, ეს შეფასება მათი უფლებაა და მესმის კიდეც. საკუთარ პრინციპებს ვერ გადავლახავ და შესაძლოა, ეს ჩემი, როგორც გუნდის წევრის ნაკლია, მაგრამ ადამიანური გადაწყვეტილებაა. მესმის, ასეთ დროს რისკზე მივდივარ, როგორ შეაფასებენ ამას მოქალაქეები. თუმცა საგანელიძე უკვე მაფასებს და ალბათ, მომავალშიც შემაფასებს. ეს მისი გადასაწყვეტია. ამ ეტაპზე, პრობლემა არ არის, ვფიქრობ, ჩემი არგუმენტები მიიღეს“,** — ამბობდა „ვერსიასთან“ გულახდილი ინტერვიუს დროს თამარ კორძაია და იმასაც ხსნიდა, რატომ ასოცირდებოდა პარლამენტში შესვლის დღიდან რესპუბლიკელებთან: **„ხიდაშელსა და უსუფაშვილთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაქვს. განსაკუთრებით, თინასთან, რადგან, როცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში დავიწყე მუშაობა, თინა საია-ს თავმჯდომარე იყო. არაა გასაკვირი, რომ ზოგ საკითხზე ერთნაირი ხედვა გვაქვს. ამ პარტიის ყველა წევრთან მეგობრობა მაკავშირებს, ამიტომ მათთან რომ მაიგივებენ, საამაყო უფროა. თუმცა, სხვა საკითხია მათთან ერთად ფრაქციაში ყოფნა“,** — აცხადებდა დეპუტატი. სწორედ ამიტომაა საინტერესო, რამ დააჩქარა მოვლენები ან უმრავლესობის რომელიმე ლიდერმა ხომ არ შეუწყო ხელი კორძაიას სხვა ფრაქციაში გადაბარგებას? „ვერსიის“ ამ კითხვებს **გია ვოლსკიმ** ასე უპასუხა: **„თამარ კორძაია ისევ კოალიციაშია და ჩვენი თანამებრძოლია. იგი რესპუბლიკელებთან გაცილებით ახლოსაა, პიროვნულადაც, დიდი ხანია მათთან ერთად მოდის. არის საკითხები, რომელთა გამოც იგი მათ ფრაქციაში უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ფრაქცია გაცილებით დიდია და აზრთა სხვადასხვაობაც მეტია. რესპუბლიკელებს კი, ფაქტობრივად, შიდა საკითხებზე სამსჯელო და საკამათო არ აქვთ. ეს ნორმალური პროცესია, რადგან ჩვენთან თავისუფალი დემოკრატებიდან 3 კაცი გადმოვიდა, ნაციონალებსაც გამოეყო გარკვეული ჯგუფი. თუმცა თამარ კორძაიამ თქვა, რომ ფასეულობებით რესპუბლიკელებთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ჩვენთან და ხმამაღალი განცხადებაა. ასეთ განცხადებებს ყველა უნდა მოერიდოს, რადგან კოალიციაში ვართ. გარდა ამისა, რესპუბლიკურ პარტიას, გენდერულ ნაწილში ისედაც ცუდი პროცენტი ჰქონდა, სხვა პარტიების მსგავსად და თამარ კორძაიას გადასვლა, ამ მხრივ, კარგია. ერთიცაა, დეპუტატი ფრაქციიდან თუ წავიდა, პარტიიდანაც უნდა წავიდეს, თუმცა ვადასტურებ, რომ ამ გადაწყვეტილების საფუძველი დაპირისპირება და კამათი არ ყოფილა“.**

„ვერსია“ თავად **თამარ კორძაიასაც** დაუკავშირდა:

— ეს გადაწყვეტილება გასულ კვირას ან გასულ თვეს რომ მიმეღო, მაშინაც მკითხავდით, რატომ ახლაო. ჩავთვალე, რომ ეს ახლა უნდა გამეკეთებინა და ამის უკან არავითარი დამთხვევა და გათვლა არ დგას. ეს ძალიან მარტივი, ადამიანური გადაწყვეტილებაა. ორი წელი „ოცნების“ ფრაქციაში საქმიანობამ მიჩვენა, რომ აზრებსა და ფასეულობებში გაცილებით მეტი დამთხვევა ფრაქცია რესპუბლიკელებთან მაქვს. ვფიქრობ, იქ ყოფნა ყველასთვის უფრო კომფორტული იქნება, ჩემთვისაც და ჩემი კოლეგებისთვისაც.

**— მახსოვს, დავით საგანელიძემ ფრაქციიდან თქვენი გაშვების საკითხი დააყენა. ახლაც რამე მსგავსი ხომ არ მოხდა?**

— მერწმუნეთ, ასე რომ ყოფილიყო, ამის თქმის პრობლემა არ მექნებოდა. ბოლო პერიოდში, ჩვენს შორის არც თემატური შეუთავსებლობა და არც რაიმე პრობლემური საკითხი ყოფილა. შიგნით რაღაც პრობლემები იყო ხოლმე, თუმცა სერიოზული არასოდეს არაფერი და რაც იყო, იმასაც ყოველთვის განვიხილავდით. გადავწყვიტე, სწორედ მაშინ, როცა სიმშვიდეა და შიგნით არაფერი ხდება, ასე უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ გადავიდე რესპუბლიკელების ფრაქციაში. ეს მშვიდი პერიოდი სწორედ ამიტომ შევარჩიე.

**— დავაზუსტოთ: პარტია „ოცნების“ წევრი ხართ და სხვა ფრაქციაშიც ამ სტატუსით გადახვედით?**

— ამ ეტაპზე, ასეა. მერე არ ვიცი, რა მოხდება.

**— თქვენს ერთ-ერთ კომენტარში ამოვიკითხე, ჩემი მომავლისთვის ასე სჯობსო. რა იგულისხმეთ?**

— როცა ლიბერალურ ღირებულებებსა და პოლიტიკაზე ვსაუბრობ, არის საკითხები, სადაც ჩემი და დავით უსუფაშვილის, დავით ბერძენიშვილის, ხათუნა სამნიძის შეხედულებები ემთხვევა. მაგალითად გენდერულ თემებზე, უმცირესობების უფლებებზე... ამიტომ დიახ, ჩემს პოლიტიკურ მომავალს ამ პლატფორმისა და ღირებულებების მქონე ადამიანებთან ვხედავ.

**— თქვენი გადაწყვეტილება რაიმე თვალსაზრისით 17 მაისთან ხომ არაა დაკავშირებული? ალბათ, ამ დღეს თქვენსა და „ოცნებას“ შორის კვლავ გამოჩნდება განსხვავება...**

— არავითარ შემთხვევაში! ჩვენ ახლა თარიღებზე მნიშვნელოვან საკითხებს ვეხებით. ჩემი შეხედულებები თავიდანვე მქონდა და ეს უმრავლესობისთვის მისაღები იყო, ჩემს განსხვავებულ პოზიციას გუნდში არავინ ახშობდა. სხვა თემაა, მეთანხმებოდნენ თუ არა, მაგრამ შეზღუდული არასოდეს ვყოფილვარ. ამიტომ ვფიქრობ, ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იყო.

**— გიორგი ვოლსკი მიიჩნევს, რომ „ფასეულობებში განსხვავება“ ხმამაღალი ნათქვამია. მაინც რა საკითხებზე არ დაემთხვა თქვენი და „ოცნების“ ფასეულობები ერთმანეთს?**

— მე და ბატონი ვოლსკი ერთსა და იმავეს ვამბობთ, სხვადასხვა სიტყვებით. ის ამბობს, რომ ღირებულებებზე საუბარი ხმამაღალია, მე კი ვამბობ, რომ ჩემსა და უმრავლესობას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს და საქმე დეტალებშია. მაგალითად, მთელი უმრავლესობა შეთანხმებულია, რომ ძალადობა მიუღებელი და დასაგმობია. მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალადობის მხოლოდ დაგმობის თემას უნდა გავცდეთ და ზომები მივიღოთ. ესაა და ეს.

## შსს-მ სოფელ კოდასა და მარნეულში მომხდარი დანაშაულები გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი მანიჟა ჭ. ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში, ე.წ. ლტოლვილების დასახლებაში მცხოვრებ სისონა გ-ს ოჯახს სოციალური აგენტის სახელით გაეცნო, მათი ნდობა მოიპოვა და მორიგი სტუმრობის დროს სისონა გ. და ოჯახის კიდევ ერთი წევრი მაკა დ. სამედიცინო მედიკამენტების გამოყენებით უმწეო მდგომარეობამდე მიიყვანა. დანაშაულის კვალის დაფარვისა და დაზარალებულების მოკვლის მიზნით ბრალდებულმა ბინაში გაზის ონკანი გახსნა, 3 330 ლარი გაიტაცა და მიიმალა. სისონა გ-ს და მაკა დ-ს სამედიცინო დახმარება დროულად აღმოუჩინეს. ამ დროისთვის მათ ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში თბილისში დააკავეს, გატაცებული თანხის ექვივალენტი ამერიკულ ვალუტაში კი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიების მსვლელობის დროს დანაშაულის სხვა გარემოებებიც გამოიკვეთა, რის გამოც დაკავებულს ბრალი დაუმძიმდა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბრალდებულმა კიდევ ერთი დანაშაული მარნეულში 2014 წლის ნოემბერში ჩაიდინა. მანიჟა ჭ-მ მარნეულის ბაზარში ერთ-ერთი ჯიხურის მოვაჭრე ცოლ-ქმარს — ვილაიატ და გულჩოხრა ნ-ებს პროდუქციის დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ საუბრისას ყავაში გაურკვეველი ფხვნილი ჩაუყარა და მათ ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნა. ამის შემდეგ მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა დაახლოებით 2000 ლარის ღირებულების ოქროულს, 6 000 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. დაკავებული ორივე დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ძალადობით ძარცვის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ორი ან მეტი პირის მიმართ სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის და ქურდობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით; 19-109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

## საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეით ბრიგადას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ბრიგადის საბრძოლო დროშის გადაბარების ცერემონიალი საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ქუთაისში გაიმართა.

სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდალმა, პოლკოვნიკმა მიხეილ სადუნიშვილმა III ქვეითი ბრიგადის დროშა ვიცე-პოლკოვნიკ როლანდ კიკნაველიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ ბრიგადის ახალ მეთაურს წარმატებები უსურვა და ქვედანაყოფის ყოფილ ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ მალხაზ მერლანს მადლობა გადაუხადა.

დროშის გადაბარების ცერემონიალი III ქვეითი ბრიგადის პირადმა შემადგენლობამ საზეიმო მარშით დაასრულა.

ღონისძიებას იმერეთის რეგიონის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე და ქუთაისის მერი შოთა მურღულია დაესწრნენ.

*„პირველი“*

## შუახევში ორი ახალგაზრდის ცხედარი იპოვეს

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბანში სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა მდინარე ჩირუხვისწყალში 22 წლის გოჩა ფუტკარაძისა და გელა ცეცხლაძის ცხედრები იპოვეს.

წინასწარი ინფორმაციით, ახალგაზრდები ანზორ ფუტკარაძის ოჯახიდან გვიან ღამით ნასვამები მოდიოდნენ. მათ ჩირუხისწყალზე საცალფეხო ხიდი უნდა გაევლოთ, საიდანაც წყალში გადაცვივდნენ.

ცხედრები აჭარის სამაშველო სამსახურმა იპოვა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სამაშველო სამსახური.

ცხედრები ბათუმის პროზექტურაში გადაასვენებენ, სადაც ექსპერტიზა ჩაუტარდებათ.

*„პირველი“*

## თემქაზე უბედურ შემთხვევას 2 წლის ბავშვი ემსხვერპლა

2 წლის ბავშვი საცხოვრებელი კორპუსის მე-4 სართულიდან გადმოვარდა. შემთხვევა თემქაზე მოხდა. მცირეწლოვანი ბავშვი მძიმე დაზიანებებით მე-3 საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 116-ე მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

*„პირველი“*

## პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია 15 მაისს დაიწყო

პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია 2015 წლის 15 მაისს დაიწყო და 9 ივნისის ჩათვლით გასტანს.

სარეგისტრაციო ფანჯარა 09:00 საათზე გაიხსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (www.mes.gov.ge) და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (www.emis.ge) ვებგვერდებზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2015 წლის 11-დან 21 ივნისის ჩათვლით. რეგისტრაციას გაივლიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ბავშვის რეგისტრაციისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ ერთი და იგივე ბავშვის რამდენიმე პირის მიერ პარალელურ რეჟიმში დარეგისტრირების მცდელობა გამოიწვევს ტექნიკურ შეფერხებას.

*„პირველი“*

# რას აპირებს „იდენტობა“ 17 მაისს

## ჩაფარდება თუ არა ჰომოსექსუალების აქცია და გამოიყვანს თუ არა საპატრიარქო ქუჩაში 200 ათას მართლმადიდებელს

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

**არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ განცხადებით, შესაძლოა, ლგბტ პირებმა 17 მაისს მშვიდობიანი აქცია ვერ ჩაატარონ, რადგან „თეოკრატიულმა სახელმწიფომ“ არ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა — ვერ გასცა მათი უსაფრთხოების გარანტია, არ დაიცვა შეკრებისა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება და რაც მთავარია, პრიორიტეტად საპატრიარქოს ინტერესი გაიხადა, რისი დამადასტურებელი ფაქტიც ისაა, რომ 17 მაისს საჯარო სივრცეს არა იდენტობის მომხრე ადამიანები, არამედ მართლმადიდებელი ერი დაიკავებს.**

ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ 16-17 მაისს საპატრიარქო 200 ათასი ადამიანის მობილიზებას გეგმავს, რაც შეუძლებელს ხდის ლგბტ ადამიანების მიერ დედაქალაქის ნებისმიერ ადგილზე მშვიდობიანი აქციის ჩატარებას: **„მიუხედავად ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და ჩვენი მცდელობისა, ორგანიზაციამ ვერ მიიღო სახელმწიფოსგან მშვიდობიანი და საჯარო აქციის უსაფრთხოების დაცვის გარანტიები. იდენტობა და ლგბტ თემი კვლავ იძულებულია დახურულ კარსმიღმა, არაფორმალური თეოკრატიული მმართველობის პირობებში გააგრძელოს უფლებადაცვითი საქმიანობა. 17 მაისს საჯარო სივრცეს მართლმადიდებელი ეკლესია მთლიანად დაიკავებს“.** ორგანიზაციის ინფორმაციით, პირდაპირ თუ ირიბად, სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა, რათა იდენტობის მიერ დაგეგმილი რამდენიმეწუთიანი მშვიდობიანი დემონსტრაცია არ გამართულიყო, პრიორიტეტად კი რელიგიური ჯგუფების მოთხოვნა დააყენა: **„2015 წელს ლგბტ თემი არათუ ვერ შეძლებს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას, არამედ მთელი სახელმწიფო აპარატი და მასზე შეზრდილი რელიგიური ინსტიტუცია მიზანმიმართულად, წინასწარი განზრახვითა და კოორდინაციით უზრუნველყოფენ ამ სოციალური ჯგუფის კონსტიტუციური უფლებების სამუდამოდ ჩამორთმევას“.**

არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას მოახლოებული რიგის სამიტამდე პროვოკაციის მოწყობა სურს და უფლებაშელახულის როლს ასრულებს. შსს-ს მიერ შეთავაზებულ ტერიტორიას ისინი სწორედ ამიტომაც არ დათანხმდნენ.

საზოგადოების მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ იდენტობას ნებისმიერ ადგილზე შეეძლო აქციის გამართვა. მათ შორის კანცელარიასთან, რადგან ეს მათი უფლებაა. მათი განმარტებით, ასეთ შემთხვევაში მთავრობას ოქროს შუალედი უნდა გამოენახა და ისე მოქცეულიყო, რომ არც იდენტობის და არც მართლმადიდებლების ინტერესები არ შელახულიყო.

17 მაისს ორმაგი დატვირთვა აქვს. 2004 წლიდან მას მსოფლიოში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს უწოდებენ. 2014 წლიდან კი, საქართველოს პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ დააწესა.

იმის გასარკვევად, მართლაც იგეგმება თუ არა 17 მაისს მართლმადიდებელთა მობილიზაცია, „ვერსია“ საპატრიარქოს დაუკავშირდა. პრესსამსახურის წარმომადგენელმა **მარიამ გაგუამ**, „იდენტობის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ დაადასტურა: **„არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს 17 მაისს საპატრიარქო 200 ათასი ადამიანის მობილიზებას გეგმავს, სიმართლეს არ შეესაბამება. ეს პროვოკაციაა. ერთადერთი, რასაც ამ ეტაპზე ვგეგმავთ, ისაა, რომ 17 მაისს დასრულდება აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატით 10 მაისს დაწყებული მსვლელობა. ამის შემდეგ უწმინდესი და უნეტარესი სამების საკათედრო ტაძარში წირვას აღავლენს და ოჯახებს დალოცავს. არ მგონია, მსვლელობას 200 ათასი ადამიანი შეუერთდეს. ეს დეზინფორმაციაა“.**

„იდენტობის“ ინფორმაციით, აქციასთან დაკავშირებით მათ მოლაპარაკება ჰქონდათ შსს-ს წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც ორგანიზაციის წარმომადგენლებს აქციის ჩასატარებლად რამდენიმე ალტერნატივა შესთავაზეს — წერეთლის გამზირი მათ ქალაქის ცენტრისგან მოშორებულ ტერიტორიად მიიჩნიეს, „ჰოლიდეი ინის“ მიმდებარე ტერიტორია კი კომიკურად ჩათვალეს. აღნიშნულ ინფორმაციას ორგანიზაციას თავის ოფიციალურ გვერდზე ავრცელებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში კი აცხადებენ, იმ შემთხვევაში, თუ 17 მაისს „იდენტობა“ მშვიდობიან აქციას გამართავს, უწყება ყველა ადამიანის უფლებას თანაბრად დაიცავს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი **ნინო გოდუაძე** მიიჩნევს, რომ 17 მაისს მშვიდობიანი აქციის მშვიდობიანად ჩატარება მართლაც მნიშვნელოვანია. რაც შეეხება საჯარო სივრცის გამოყოფას, გოდუაძის განმარტებით, ხელისუფლებამ ოქროს შუალედი უნდა გამოიძებნოს და ისე მოიქცეს, რომ არავის უფლებები არ შეილახოს: **„კონსტიტუციით, ნებისმიერ ჯგუფს აქვს უფლება, ჩაატაროს მშვიდობიანი აქცია. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ვალდებულებაა, გამოხატვის თავისუფლება დაიცვას. „იდენტობასაც“ აქვს უფლება, ჩაატაროს აქცია, მით უმეტეს, ეს ჰომოფობიის საერთაშორისო დღეა. ჰომოფობია კი, ნამდვილად მძიმე პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მათი უსაფრთხოება. 2 წლის წინ, საშინელი ბარბაროსული აქტის მომსწრენი გავხდით. იდენტობა ჩვენი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, რომლის მიმართაც, უმრავლესობა აგრესიითაა განწყობილი. ეს არასწორია. მსოფლიოში, კანონის წინაშე დანაშაული მკაცრად ისჯება. დამნაშავეს ეზღუდება რიგი უფლებები, ზოგან — სიცოცხლის უფლებაც კი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თუნდაც დამნაშავის უფლება შელახოს, მით უმეტეს — უდანაშაულო ადამიანების. ამ კონკრეტულ შემთხვევაში — სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების“.**

უფლებადამცველ **გიორგი გაბედავას** რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს. მისი აზრით, თუ „იდენტობა“ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს მართლაც აწარმოებდა და აქციის ჩასატარებლად შემოთავაზებულ ალტერნატიულ ტერიტორიაზე უარი განაცხადა, ესეც ერთგვარი პროვოკაციაა. გაბედავას თქმით, თემი დღეს იმითაც სპეკულირებს, თითქოს მათი უფლებები ირღვევა, რეალურად კი, ასე არ არის: **„ვფიქრობ, დღეს მათი უფლებები არ ირღვევა. მათი განმარტება ტერიტორიასთან დაკავშირებით, მხოლოდ მიზეზი იყო. სახელმწიფო მათაც ზუსტად ისე იცავს, როგორც ჩვენ. მაგალითად, მოძალადემ ქუჩაში ჰეტეროსექსუალი და ლგბტ რომ სცემოს, მოძალადეს ერთნაირად დასჯიან. ეს ადამიანები არიან პროვოკატორები. ისინი პროვოცირებენ მსგავსი საქმეებით. იღებენ გრანტებს, სპეკულირებენ თემით და ამით ცხოვრობენ... მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ დღევანდელი საქციელით მომავალ თაობას პრობლემებს უქმნიან, მის დეგრადაციას იწვევენ — როცა სკოლის წინ ორი მამაკაცი ერთმანეთს ტუჩებში კოცნის, მიუღებელია. გოგოს და ბიჭის კოცნა არაა ქუჩაში სასიამოვნო და მამაკაცების, მით უმეტეს. პირადად მე, ეს პროვოკაციად მიმაჩნია.**

**ერთ საინტერესო ფაქტსაც შეგახსენებთ. დაახლოებით 2 წლის წინ, ნაციონალურმა მოძრაობამ მთავრობის გადაყენებისა და ვითომ ევროატლანტიკურ ალიანსში შესვლის მოთხოვნით აქცია გამართა. ეს იყო მაიდნის მცდელობა, პარტიული შეკრება. მათ სწორედ ლგბტ ორგანიზაცია უჭერდა მხარს. მათი წარმომადგენლები და მხარდამჭერები. სულ რამდენიმე ათეული ადამიანი იყო, მაგრამ ისინი იდგნენ ნაციონალების გვერდით. იმ ადამიანების, რომლებიც 9 წლის განმავლობაში ატერორებდნენ ხალხს, ხოცავდნენ ქუჩებში და აუპატიურებდნენ ციხეში. თუ ძალადობასა და უფლებების შელახვაზეა საუბარი, აი, ეს არის ძალადობა. როგორც გავიგე, რამდენიმე დღის წინ, ევროსასამართლომ სახელმწიფოს 2013 წლის 17 მაისისთვის გარკვეული თანხის გადახდა დააკისრა. საინტერესოა, ევროსასამართლოს ახსოვს ადამიანების მკვლელობა და დარბევა ქუჩაში? ერთადერთი სანდრო გვირგვლიანის საქმეზე მოვიდა პასუხი, ამიტომ არ მჯერა მათი“.**

17 მაისამდე რამდენიმე დღე დარჩა. ზოგისთვის ეს დღე ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა, ზოგისთვის კი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის. არიან ისეთებიც, ვისთვისაც 17 მაისი, ორივე ხსენებულ დატვირთვას ატარებს. როგორ მოიქცევა „იდენტობა“ 17 მაისს და ჩაატარებს თუ არა მშვიდობიან აქციას, უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

# დენი გაძვირდება?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**გაიზრდება თუ არა ენერგოტარიფები, ამას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია — სემეკი, 10 სექტემბერს გადაწყვეტს. კანონის თანახმად, სხდომა საჯარო იქნება და როგორც ყოველთვის, მასზე დასწრება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება. ლარის დევალვაციის გამო, ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ სემეკს ელექტროენერგიის ტარიფის კორექტირების მოთხოვნის განცხადებით მიმართა. კანონით, მარეგულირებელ კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად, 150-დღიანი ვადა აქვს და შესაბამისად, კომისიის სხდომა, სადაც ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, 2015 წლის 10 სექტემბერს გაიმართება.**



## „ენერგო-პრო“ ტარიფის კორექტირებას ითხოვს

ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარე წლის 8 აპრილს, ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შვილობილმა კომპანია შპს „ჯიფაუერმა“, რომელიც ელექტროენერგიას ბუნებრივი აირის საშუალებით აწარმოებს, ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის კორექტირების მიზნით, სემეკს წერილობითი მოთხოვნა წარუდგინა. შპს „ჯიფაუერის“ განმარტებით, აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის წარმოების მიზნით შესასყიდი ბუნებრივი გაზის ფასი არსებითად განსხვავდება დაგეგმილ-შესასყიდი ბუნებრივი გაზის ღირებულებისაგან. **„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-20 მუხლის 12 პუნქტის მიხედვით, კომისია უფლებამოსილია გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესყიდვის დაგეგმილი ფასის სავალუტო კურსის და სათბობის ხვედრითი ხარჯის მაჩვენებლის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, განახორციელოს სატარიფო წლისათვის დადგენილი გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის ერთხელ კორექტირება“,** — ასეთი იყო სემეკის ოფიციალური პასუხი.

„ჯიფაუერის“ შემდეგ, მიმდინარე წლის 15 აპრილს, სემეკს ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამაც“ წერილობით მიმართა, რომლითაც ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში, მოხმარების ტარიფის კორექტირება მოითხოვა. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განმარტებით, კომპანიას გაუჩნდა ფულადი სახსრების დეფიციტი, რაც გამოწვეულია ელექტროენერგიის შესყიდვის ღირებულების ზრდით. შესასყიდი ელექტროენერგიის ღირებულების ზრდაზე გავლენა მოახდინა იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულების ზრდამ, ასევე ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის ცვლილებამ. წერილობითი მოთხოვნების საფუძველზე, სემეკში, 23 აპრილს საჯარო სხდომა გაიმართა. ნორმატიული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე, კომისიაში წარსადგენი მოსაზრებების ბოლო ვადად 2015 წლის 29 მაისი განისაზღვრა, ხოლო აქტის გამოცემის ბოლო ვადად შპს „ჯიფაუერისთვის“ – 2015 წლის 3 სექტემბერი, ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“ კი – 2015 წლის 10 სექტემბერი.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლების განცხადებით, ელექტროენერგიის შესყიდვის ფასი იმდენად გაძვირდა, რომ კომპანიამ თითქმის მთლიანად ამოწურა ფინანსური რესურსი. მართალია, აშშ დოლართან მიმართებაში, ლარის გაძვირება 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო, რის გამოც, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შესასყიდი დენი გაუძვირდა, მაგრამ ტარიფის კორექტირების მოთხოვნით, კომპანიამ სემეკს მხოლოდ აპრილში მიმართა. ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირების გარდა, „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ დაკავშირებით, მედიაში ახალი სკანდალი აგორდა. გავრცელებული ინფორმაციით, ჩეხური კომპანია იყიდება, ცალკეული ექსპერტების შეფასებით, გამორიცხული არ არის, „თელასის“ მსგავსად, „ენერგო-პროსაც“ რუსები დაეპატრონონ.

„ვერსიასთან“ საუბრისას „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **ავთო დვალიშვილმა** აღნიშნა, რომ შესაძლოა, კომპანია მართლაც გაიყიდოს, თუმცა ამ ეტაპზე, კონკრეტულად არაფერია ცნობილი: **„ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შესყიდვით რამდენიმე უცხოური კომპანია დაინტერესდა. იმის გამო, რომ ჩვენი კომპანიის სათავო ოფისი ჩეხეთში, პრაღაში მდებარეობს, კომპანიის შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები სწორედ იქ გაიმართება. ამ ეტაპზე, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, კომპანია მთლიანად გაიყიდება, თუ ნაწილობრივ“.**

## ენერგოდაპირისპირება მთავრობაში

„ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და „ჯიფაუერის“ მოთხოვნას ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობაში ერთგვარი დაპირისპირება მოჰყვა. ჯერ კიდევ სამთავრობო ცვლილებებამდე, ორიოდე კვირით ადრე, მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს უსაყვედურა და პირდაპირ მოსთხოვა, რომ სემეკს, სამინისტროსა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტარიფთან დაკავშირებული განხილვა არ გაესაჯაროებინათ: **„ისაუბრეთ, იმსჯელეთ ამა თუ იმ კომპანიის მომართვებზე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საჯარო. მოსახლეობას ნუ ძაბავთ, როცა ამ ეტაპზე არ იგეგმება არავითარი ფასის მატება“.**

ამ პერიოდში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი, **კახა კალაძე** საქართველოში არ იყო, ამიტომ პოზიცია

## დაუკმაყოფილებს თუ არა სემეკი მოთხოვნას „ენერგო-პრო ჯორჯიას“

სოციალურ ქსელში დააფიქსირა — ლარის დევალვაციის გამო, კომპანიების მოთხოვნა სამართლიანიაო. კალაძემ ისიც განმარტა, რომ სემეკის სხდომები საჯაროა. პრემიერი კი მიიჩნევდა, რომ კომპანიების მოთხოვნის გასაჯაროებამ ამ თემის „ხელოვნურად ინსპირირების“ შთაბეჭდილება შექმნა.

ამის შემდეგ, ღარიბაშვილი-კალაძის „ენერგოდაპირისპირება“ სამთავრობო ცვლილებებმა გადაფარა. თუმცა ენერგოტარიფების სავარაუდო, უფრო ზუსტად კი გარდაუვალი ზრდა პარლამენტში, მთავრობის დამტკიცების დროს გამართულ განხილვებში, ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. ხელისუფლების ოპონენტები ცალსახად მიანიშნებდნენ, რომ ენერგოტარიფის ზრდა მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას გამოიწვევს, მაგრამ თუ სემეკი კომპანიების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ამით საქართველოს ენერგეტიკა დაზარალდება.

რამდენიმე დღის წინ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სემეკმა პრემიერ-მინისტრის შენიშვნები გაითვალისწინა და სატარიფო დოკუმენტაცია ნაწილობრივ დახურა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ამას სხდომების დახურვაც მოჰყვებოდა.

„ვერსია“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენლებს დაუკავშირდა. სემეკში აცხადებენ, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და სხდომები არ დახურულა: **„როდესაც კომისია ტარიფების კორექტირების საკითხს განიხილავს, შესაბამისი გადაწყვეტილება საჯარო იქნება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა მას დაესწროს, საკუთარი მოსაზრებაც გამოთქვას. ანუ, სემეკი ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას საჯაროდ მიიღებს. არც სატარიფო დოკუმენტაცია დახურულა ნაწილობრივ. პირიქით, სემეკმა კომპანიების მოთხოვნა, რომ გარკვეული დოკუმენტაცია კომერციულ საიდუმლოდ გვეცნო, სრულად არ დააკმაყოფილა. ჩვენ მხოლოდ დოკუმენტების ის ნაწილი დავხურეთ, რომელიც კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, კომპანიებს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნიდა. დანარჩენი, რაც უშუალოდ ტარიფების კონფიდენციალობას ეხება, იგივე ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში, დიდი ნაწილი ღიად და საჯაროდ დავტოვეთ და კომისიის ვებ-გვერდზეც გამოქვეყნდა“.**

## ტარიფების ახალი მეთოდოლოგია

2014 წლის 1 ივლისს, ეკონომიკის ექსპერტებთან ერთად, სემეკის წარმომადგენლებმა ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიების პროექტებზე იმსჯელეს. სემეკმა ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების, ასევე ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიები შეიმუშავა. ეს მეთოდოლოგია შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, გამოცდილებასა და სტანდარტებს, რომელიც 2014 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.

„ვერსიაში“ ვნერდით, რომ ტარიფის ახალი მეთოდოლოგია განაწილების სექტორს ეხება, რომლის მიზანი გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფების დადგენაა. ამ მეთოდოლოგიით, განაწილების სექტორში ინვესტიციები ნახალისდება. სემეკში აცხადებდნენ, რომ ენერგეტიკის დანარჩენ სეგმენტში ჯერ ისევ „ხარჯებს პლუს მეთოდოლოგია“ მოქმედებს. ახალი მეთოდოლოგია თავდაპირველად სწორედ „ენერგო-პროში“ დაინერგა. 2014 წლის სექტემბერში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის, ტარიფთან დაკავშირებით გაფორმებულ მემორანდუმს ვადა გაუვიდა, ამიტომ ტარიფის გადახედვის თაობაზე, კომპანიამ სემეკს განცხადებით 2014 წლის 15 ივლისს მიმართა. ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე, 2014 წლის 22 აგვისტოს, სემეკმა ახალი ტარიფები დაადგინა, რომელიც ძალაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა.

საინტერესოა, აშშ დოლართან მიმართებაში, საქართველოს ეროვნული ვალუტა — ლარი, თითქმის 31%-ით რომ არ გაუფასურებულიყო, სემეკის მიერ, შარშან დამტკიცებული ტარიფის ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, დადგებოდა თუ არა დღის წესრიგში ენერგოტარიფების კორექტირება? მით უმეტეს, რომ სწორედ ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე, ტარიფების ყოველწლიური კორექტირება უკვე ძალაში შესული და ამჟამად მოქმედი გადაწყვეტილებაა. სემეკის წარმომადგენლებმა „ვერსიას“ განუმარტეს, რომ ლარის დევალვაციის გარეშე, ტარიფის კორექტირება დღის წესრიგში არავითარ შემთხვევაში არ დადგებოდა, რადგან ენერგოტარიფები 2015 წლის ბოლომდეა დადგენილი. მათივე განმარტებით, მართალია, ახალი მეთოდოლოგია ტარიფის ყოველწლიურ კორექტირებას ითვალისწინებს, მაგრამ კომპანიების წერილობითი მიმართვის გარეშე, სემეკი ამ საკითხს დღის წესრიგში არავითარ შემთხვევაში არ დასვამდა.

მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშესაწყობად, ელექტროენერგიის შესყიდვის ტარიფები დადგენილია მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის შესაბამისად და ქვეყანაში სამსაფეხურიანი ტარიფი მოქმედებს. თბილისის მაცხოვრებლები, რომლებიც „თელასის“ აბონენტები არიან, 2013 წლის 1 აპრილიდან, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 101 კვტ.სთ-მდე მოხმარებული ელექტროენერგიის შემთხვევაში, 1 კვტ.სთ-ზე 8.034 თეთრს იხდიან; 101 კვტ.სთ-დან 301 კვტ.სთ-ს ჩათვლით — 10.56 თეთრს; 301 კვტ.სთ-დან და მეტის მოხმარების შემთხვევაში — 14.998 თეთრს.

საქართველოს რეგიონებს ელექტროენერგიას „ენერგო-პრო ჯორჯია“ აწვდის. შესაბამისად, 101 კვტ.სთ-ის ჩათვლით და საერთო მოხმარების მრიცხველის აბონენტები, 1 კვტ.სთ ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში, 9.0034 თეთრს იხდიან; 101 კვტ.სთ-დან 301 კვტსთ-ს ჩათვლით — 12.98 თეთრს; 301 კვტ.სთ-დან და მეტი მოხმარების შემთხვევაში — 17.50 თეთრს.

## ტარიფის ზრდა გარდაუვალია

უკვე წლებია საქართველოში ყველაზე აქტუალურია თემა, რამდენად რეალურია დენისა და გაზის ის ტარიფები, რაც ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს. არაერთი ექსპერტი მიიჩნევს და ამაზე „ვერსიაშიც“ ვწერდით, რომ მოქმედი ტარიფები ხელოვნურადაა გაბერილი, რადგან ტარიფის კომპონენტებს შორის, კომპანიების მოგების მარჯა, თითქმის 150%-ს უტოლდება. ცალკეული ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ გაზის ტარიფი 25 თეთრით, ხოლო დენის ტარიფი 10 თეთრით იაფი უნდა იყოს. ამ ყველაფერს ახლა 31%-ით გაუფასურებული ლარის თემაც დაემატა. გაზსაც და ელექტროენერგიასაც საქართველო სწორედ დოლარში ყიდულობს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კომპანიები ტარიფის კორექტირებას ითხოვენ, მით უმეტეს, ქვეყნის ენერგოსისტემაში, ელექტროენერგიის დიდი წილის გამომუშავება სწორედ თბოსადგურების საშუალებით ხდება. ეს ნიშნავს, რომ დენის მისაღებად, გაზია საჭირო.

რეალურია თუ არა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნა ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებით? გაიზრდება თუ არა დენის ტარიფი? „ვერსიას“ ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში, **დავით მირცხულავა** ესაუბრება:

— ბუნებრივია, ლარის დევალვაციამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ენერგეტიკულ კომპანიებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გენერაციის ობიექტებმა საწავავის შესყიდვა იმ კურსით დაგეგმეს, როდესაც 1 აშშ დოლარი 1.73 ლარი ღირდა, დღევანდელი კურსისა და დევალვაციის გამო, კომპანიები იგივე მოცულობის გაზს ვეღარ შეისყიდიან. დღეს რომ თბოსადგურმა იგივე მოცულობის ბუნებრივი აირი იყიდოს, რასაც შარშან ყიდულობდა, ამას უფრო მეტი ლარი სჭირდება, რაც ელექტროენერგიისა და გენერირებული ენერგიის შესყიდვაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

**— ანუ, ენერგოტარიფების ზრდა გარდაუვალი პროცესი იქნება?**

— ჩემი პროგნოზით, ლარის დევალვაციას, ელექტროენერგიის ტარიფის კორექტირება მოჰყვება. თუმცა უმჯობესია, სემეკის გადაწყვეტილებას დაველოდოთ, რომელსაც 10 სექტემბრამდე, საკმაოდ დიდი დრო აქვს. თავისი ბუნებით, ელექტროენერგია საკმაოდ რთული პროდუქტია, თუ მომხმარებელს უნდა, რომ მას ჰქონდეს დროული, სტაბილური და საიმედო ელექტრომომარაგება, ამ შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკულ ბალანსში თბოსადგურებმაც უნდა შეასრულონ ის ფუნქცია, რაც შარშან ჰქონდათ, ანუ თბოსადგურების საშუალებით გამომუშავებული ელექტროენერგიაც აუცილებელია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შარშან ელექტროენერგიის მოხმარების 5%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ნიშნავს, რომ ენერგოშემცველის, ანუ ბუნებრივი აირის ის მოცულობა კი არ დაგვჭირდება, რაც 2013 წელს გვჭირდებოდა, არამედ 5%-ით მეტი.

**— სემეკმა ზამთრის წინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როცა ხალხს გამათბობლების ჩართვა მოუწევს და მომატებულ ტარიფს საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. თუ ამ გადაწყვეტილებას სხვა კომპანიების წერილებიც ავტომატურად მოჰყვება, მდგომარეობა უფრო დამძიმდება?**

— მესმის და სემეკს მართლაც რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. 10 სექტემბერი ნამდვილად არ არის მარტივი პერიოდი. მეორე მხრივ, ობიექტურად თუ შევხედავთ სიტუაციას, შეუძლებელია, ლარის დევალვაციას ეს პროცესი არ მოჰყოლოდა. მარტივ მაგალითს გეტყვით, 1998 წელს, ენგურზე დაახლოებით, 1.5 აგრეგატი იყო, რომელთა სიმძლავრე 260 და 120 მეგავატი იყო. დღეს ენგურზე 1 300 მეგავატის სიმძლავრეა, სადაც 5 აგრეგატია მწყობრში. ეს იმ რეაბილიტაციის შედეგია, რომელიც 2001 წლის ბოლოს დაიწყო და 2014 წელს დასრულდა. ენერგეტიკაში მსგავსი პროცესი, ყოველთვის ხანგრძლივია. 1998 წელს, ენგურჰესზე 1.5 აგრეგატი იმიტომ იყო, რომ თანხები არ იკრიბებოდა და მაშინდელი ტარიფები რეალურ დანახარჯებს არ ასახავდა. ბუნებრივია, ენერგეტიკას გონივრული დანახარჯები სჭირდება, მარეგულირებელი კომისიის ფუნქცია სწორედ ის არის, რომ ყველა კომპანიისთვის, გამანაწილებლისა და თბოსადგურისთვის რეალურ, გონივრულ დანახარჯებზე განსაზღვრული ტარიფი დაადგინოს, თანაც ეს პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს.

**— ამის მიუხედავად, პრემიერი ამბობს, რომ ტარიფები არ გაიზრდება, რაც ნიშნავს, რომ თუ სემეკი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მოსახლეობის სუბსიდირება გარდაუვალი იქნება.**

— დიახ და სუბსიდირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს! სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ტარიფები ამ ეტაპზე არ გაიზრდება, მაგრამ დაველოდოთ, რას გადაწყვეტს სემეკი, რომელმაც როგორც იქნა, დაიბრუნა ფუნქცია, რათა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოს. არ უნდა დავუშვათ, რომ საკუთარი რესურსის ხარჯზე, მოსახლეობის სუბსიდირება თვითონ ენერგეტიკამ დაიწყოს. ამავდროულად, არ უნდა დავუშვათ, რომ სუბსიდირება ყველამ მიიღოს, დახმარება მხოლოდ იმ კატეგორიას უნდა გავუწიოთ, რომელსაც სახელმწიფოს მხარდაჭერა მართლაც სჭირდება და რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველებს ვგულისხმობ.

# სამი კაცის მკვლელი ლალიკოს აღსარება

## როგორ გაიცანეს ნახევარი მილიონი ერთი სახლიდან მძარცველებმა და რაფომ გააუპატიურეს „პადლენიკი“ ქალი

### პატიმარი №0578

გლდანის ციხეში პატიმრებს, როგორც ცხოველებს, ისე რომ ექცეოდნენ, მთელმა საქართველომ იცოდა და იხილა კიდეც. უკეთეს დღეში მსჯავრდებულებს არც ის ბადრაგი აგდებდა, რომელსაც ციხიდან სასამართლოზე მიჰყავდა და არც ისინი, რომლებიც სასამართლოში ხვდებოდნენ. ყველა ვალდებულად თვლიდა თავს, რომელიმე პატიმრისთვის ერთხელ მაინც წამოერტყა თავში ან წიხლი ჩაეზილა. თქვენ წარმოიდგინეთ, ქალი ოფიცრებიც კი აგინებდნენ პატიმრებს და ცხვირწინ „დუბინკებს“ უტრიალებდნენ. ოფიციალურად, სასამართლოზე მიყვანილ პატიმრებს თითო კოლოფი სიგარეტი და საკვები ეკუთვნოდათ. რეალურად კი ას კაცს ორ კოლოფს აძლევდნენ და საკვებს რაც შეეხება, ბრინჯის სალაფავი, ორი ნაჭერი პური და ორი ცალი ვაფლი იყო მთელი დღის სარგო. ამ ყველაფერს პლასტმასის თეფშებით აძლევდნენ და იქ, სადაც პატიმრებს ამწყვდევდნენ, დახვავდებოდა ხოლმე თეფშები ხელუხლებელ სალაფავთან ერთად. პატიმრები მხოლოდ ვაფლს გაუსინჯავდნენ გემოს და დანარჩენს ხელს არ ჰკიდებდნენ.

სასამართლოზე პატიმარი №0578-იც წაიყვანეს და როცა ას კაცთან ერთად პატარა ოთახში შეაგდეს, კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ სადაც ყველა, იქ მეო, გაიფიქრა და მშვიდად დადგა კუთხეში. პატიმრები, იმის გამო, რომ ამათ ხელში ჩავარდნენ, ჩურჩულით აგინებდნენ ყველას — ხელისუფლებას, პოლიციელებს, ბადრაგს, მოსამართლეს, საკუთარ თავსაც. იყო ერთი გადალაპარაკება და გინების კორიანტელი. მოულოდნელად კარი გაიღო და ოფიცერმა ხმამაღლა გამოაცხადა — „პატიმარი №0578, გამოდი“.

№0578 გაოცდა, რადგან ზუსტად იცოდა, სასამართლო სამ საათზე ჰქონდა ჩანიშნული და იმ ჯოჯოხეთში კიდევ რამდენიმე საათი უნდა გაეტარებინა, მაგრამ მაინც გავიდა. რამდენიმე მეტრი გაატარეს, ე.წ. ფუქსის საკანი გაუღეს და შიგნით შეაგდეს. №0578 გაოცდა — საკანი ათი კვადრატული მეტრი იქნებოდა, წინ გისოსი ჰქონდა, ანუ ყველა ოფიცერი ხედავდა, იქ რა ხდებოდა, საკანში კი ვიღაც მოხუცი კაცი და №0578-ის მეგობარი ლევანი ისხდნენ. ლევანმა ღიმილით მხარზე ხელი დაჰკრა, როგორ ხარო, მერე გადაეხვია და იქვე მდგომ ოფიცერ ქალს გასძახა: „ორი ყავა მოგვიტანე“. №0578-ს უნდობლად გაეღიმა, ყავის მოთხოვნა სისულელე იყო, მაგრამ როცა ოფიცერი გატრიალდა და მადუღარა შეაერთა, ლევანს მოუბრუნდა: „შეგიძლია ამიხსნა, აქ რა ხდება?!“

„რა ხდება და მამაჩემმა ათასი ლარი გადაიხადა, ადამიანად რომ ვიგრძნო თავი. ათასი ლარი ცოტა არაა, დაგინახე, როგორ გაგატარეს და ვუთხარი, ეგეც აქ მოიყვანეთ-მეთქი. ხედავ, ორი კოლოფი „პარლამენტი“ მომცეს, აჰა, მოწიე. ყავაც არის. მოკლედ, სასამართლო სამ საათზე მაქვს და მანამდე კი მოვასწრებთ დალაპარაკებას“, — გაუღიმა ლევანმა.

„ეს ვინ არის?“ — მოხუცზე იკითხა №0578-მა.

„ეს ფაშისტია, დიდ ფულს ედავებიან, 5 მილიონს, მგონი. ისე, კაი ტიპია, ბოროტი და დედააფეთქებული არ არის. ამანაც გადაიხადა ალბათ. კი ამბობს, ასაკში ვარ და იმიტომ გადმომიყვანეს აქეთო, მაგრამ ამაზე ასაკიანები ჰყავთ იქ ერთად შეყრილი“, — ღიმილით თქვა ლევანმა და ყავაც მოიტანეს.

ბიჭების წინ საკანში, რომელსაც გარედან ასევე გისოსი ჰქონდა, ორი კაცი იჯდა. ორივეს შარვალ-კოსტუმი ეცვა და ორივე მშვიდად მიირთმევდა საჭმელს. საოცარი ის იყო, რომ ორივეს დანა-ჩანგალი ეკავა ხელში და შემწვარ ხორცს აგემოვნებდა. №0578-მა ისინი იცნო — ებრაელი ბიზნესმენები, ზეევ ფრენკელი და რონი ფუქსი იყვნენ.

„ბოდიში მომითხოვია, მაგრამ იცით, რა მაინტერესებს? რატომ აჭმევენ იმათ დელიკატესებს და თან დანა-ჩანგლით, ჩვენ კიდევ სალაფავს?!“ — ჰკითხა იქვე მდგარ ოფიცერს №0578-მა.

„შენ არ ვიცი, რას გედავებიან, მაგრამ ამათ ას მილიონ დოლარს ედავებიან და სხვაობას ხომ ხვდები? თან ამათ ყოველდღე ისრაელის ელჩი და სახალხო დამცველი სტუმრობს და ასე რომ არ მოვექცეთ, ხომ მოგვეჭრა თავი მსოფლიო მასშტაბით“, — აუხსნა ოფიცერმა.

მოულოდნელად, ოფიცრებში ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაცამ თქვა, ლალიკო მოჰყავთო და ყველამ იქეთ გაიხედა. ლალიკო მაღალი, გამხდარი ქალი იყო, ასე 40 წლის, სიგარეტს აბოლებდა და როცა ლევანის და №0578-ს მოჰკრა თვალი, ორივე ხელი აწია და ბოლო ხმაზე იყვირა: „სვაბოდა, ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ მე“. ოფიცერმა მსუბუქად უბიძგა მხარში და ლალიკომაც გინება არ დააყოვნა — მაშინვე დედა მოუკითხა, მერე ოფიცერ ქალს გახედა, ფორმა რამ ჩაგაცვაო, იმასაც შეუკურთხა და ფუქსებში შევიდა. იქიდან ისევ გამოხედა ბიჭებს, ისევ გაუღიმა და მორიგ სიგარეტს მოუკიდა.

„ვინ არის ეს?!“ — ოფიცერ ქალს ჰკითხა №0578-მა.

„ლალიკოა... რა, არ გაგიგია?!“ — გაოცდა ოფიცერი.

„და რატომ უნდა გამეგო? მადლენ ოლბრაიტია თუ მარგარეტ ტეტჩერი?!“ — აქეთ გაოცდა №0578.

„ამას სამი კაცი ჰყავს მოკლული. ახლა სასამართლო აქვს, ამბობს, კაცი კი არა, არაკაცები მოვკალი და გამიშვითო. სამუდამოს მისცემენ ალბათ“, — ჩამოარაკრაკა ოფიცერმა.

„ლევან, მომისმინე, ლალიკოს გვერდით ფუქსი ცარიელია. იქ უნდა გადამიყვანოს ამ შენმა ტურფამ. ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებ, უნდა მოვაყოლო“, — ჩუმად უთხრა მეგობარს №0578-მა.

ლევანმა გაუღიმა და მერე ოფიცერს გასძახა: „ეს ჩემი „ბრატი“ ლალიკოს გვერდით გადაიყვანე, სულ ათი წუთი ეყოფა“. ოფიცერმა თავიდან გააპროტესტა, მაგრამ მერე მაინც გააღო კარი, №0578 ლალიკოს გვერდით შეაგდო და ჩუმად ელაპარაკეო, გააფრთხილა.

„ლალიკო, მე პატიმარი №0578 ვარ, აქ იმიტომ გადმოვედი, რომ შენი ისტორია მაინტერესებს და თუ არ შეწუხდები, ეგებ მოკლედ მომიყვე, სულ ათი წუთი გვაქვს“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

„პატიმარი ხარ თუ ისტორიკოსი? რად გინდა ჩემი ისტორია? სამი არაკაცი გავისტუმრე იმქვეყნად და რა მოგიყვე? როგორ გამოვჭერი ყელი? მარტივად, დანით, სამივეს რიგ-რიგობით“, — ჩუმად თქვა ლალიკომ.

„მიზეზი?!“ — არ მოეშვა №0578.

„შენ ვიცი, ვინც ხარ, „პრისტუპნიკი“ არ ხარ. ისინი „პრისტუპნიკები“ იყვნენ, ერთად დავრბოდით საქმეებზე. ქმარი ადრე დამეღუპა და ოჯახი ხომ უნდა მერჩინა?! პრინციპში, რა ოჯახი, ერთი შვილი დამრჩა და ის უნდა მერჩინა. ჰოდა, მე ბინებზე ვაკაკუნებდი, მიღებდნენ და მერე ისინი შედიოდნენ. ერთი ბინიდან თითქმის ნახევარი მილიონი წამოვიღეთ, თან ნაღდი ფული იყო და ცოტა ოქრო. მაშინ გადაწყვიტეს ჩემი მოშორება. იცი, რით მივხვდი? დავლიეთ... ადრეც დაგვილევია... ხელების ფათური რომ დამიწყო ერთმა, შევუღრინე, მაგრამ თურმე სად ბანაობ, განაჩენი მაქვს გამოტანილი. რიგ-რიგობით გამაუპატიურეს, მერე ისევ დალიეს და მიეყარნენ დასაძინებლად. საკუთარი თავი შემძულდა მაშინ. ავდექი, დანა ავიღე და მერე უკვე ბუნდოვნად მახსოვს. აზრზე რომ მოვედი, ავიღე ფული და წავედი. შვილს მივაკითხე, ჩემს დასთან წავიყვანე, ფული დავუტოვე და მე საზღვარზე გადასვლაზე დავიწყე ჩალიჩი. თან 50 ათასი მქონდა და მაგან დამღუპა. დამინახა იმ კაცმა, ვისაც საზღვარზე უნდა გადავეყვანე, რომ ამხელა ფული მქონდა და ჩამიშვა. ასე დამაკავეს. ახლა სამუდამოო, ამბობენ და იმას არ აქცევენ ყურადღებას, სამმა ცხოველმა რომ გამაუპატიურა. მთავარია, შვილი იყოს კარგად, მე გამოვძვრები როგორმე“, — სევდიანი ღიმილით თქვა ლალიკომ.

სასამართლომ ლალიკოს 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა სააპელაციომ და შემდეგ ერთი მეოთხედის ჩამოკლებამ სასჯელი საგრძნობლად შეუმსუბუქა. ციხიდან გამოსულმა №0578-მა ლალიკოს შვილი ნახა, დაც გაიცნო და... მაშინ თქვა დამ, ფული აღარ გვაქვს, რაც ლალიკომ დატოვა, პოლიციამ წაიღო და ამიტომ, ცეკვიდან გამოვიყვანე ბავშვი, ფორმა და ათასი რამე სჭირდებათო. ლალიკოს შვილი ანსამბლ „სიხარულში“ ცეკვავდა და ეს ისტორიაც სწორედ იმ ტრაგედიამ გაგვახსენა, მთელი საქართველო რომ შეძრა რამდენიმე დღის წინ.

სხვათა შორის, ლევანმა თავისუფლებაზე ის ოფიცერი ქალი ნახა და მასთან რომანი გააბა. №0578 დასცინოდა, იქ, სასამართლოს ჯურღმულებში ერთი ნახვით შეგიყვარდაო და ის კიდევ თავს იმართლებდა, კი არ შემიყვარდა, პრაქტიკული კაცი ვარ, ისევ რომ დამიჭირონ, ერთ ფინჯან ყავასა და ერთ კოლოფ სიგარეტში ათასი ლარის გადახდა აღარ მომიწევსო.

## ვერსიანიუსი

### შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში იარაღის უკანონო ტარება-შენახვისთვის ნასამართლევი, აზერბაიჯანის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული შოთა მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და რეალიზაციის ბრალდებით რუსთავში, გაგარინის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს სპორტული ჩანთა, რომელშიც ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული 85 000 აშშ დოლარი იყო. ასევე ამოღებულია ბრალდებულის მიერ რეალიზებული 681,29 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 441,636 გრ ჰეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და რეალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

### შსს აკადემიამ სუპერლიგის ნახევარფინალური სერიის პირველ თამაშში გაიმარჯვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საკალთბურთო გუნდმა „შსს აკადემიამ“ საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის პირველ შეხვედრაში „ბათუმი“ დიდი უპირატესობით, ანგარიშით 106:84 დაამარცხა. შსს-ს გუნდმა შეხვედრაში მეტოქეს ყველა მეოთხედი მოუგო და საბოლოოდ, 22-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვა.

თამაშში „შსს-აკადემიის“ მოთამაშეთაგან 21 ქულით საუკეთესო იყო გიორგი ცინცაძე, 17 ქულა დააგროვა გიორგი შარაბიძემ, 15 ქულა ჰქონდა ბექა ჩიკვილაძეს, ხოლო ნიკა მეტრეველმა და აკაკი ლომოურმა 14-14 ქულა მოაგროვეს; მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე კი 10 ქულა დაგროვდა. გუნდის მწვრთნელის, კოტე ტუღუშის განცხადებით, გუნდი მაქსიმალურადაა მობილიზებული და ფინალისკენ მიზანმიმართულად მიიწევს.

*„ვერსიანიუსი“*

### შინაგან საქმეთა მინისტრმა საგურამოში პოლიციის ახალი შენობა გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საგურამოში პოლიციის ახალი შენობა გახსნა. ორსართულიანი, თანამედროვე სტანდარტების შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით არის აღჭურვილი. პოლიციის თანამშრომლებისთვის შენობაში ასევე კეთილმოწყობილია სპორტული დარბაზი. ახალ შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახური განთავსდა: შსს-ს მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს მცხეთის რაიონული სამმართველოს საგურამოს პოლიციის განყოფილება და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ოპერატიული რეაგირების ჯგუფი.

**„ახალი განყოფილება გაიხსნა, აქ განთავსებული იქნება პოლიცია, ასევე დაცვის პოლიცია იქნება განთავსებული, ეს ორი დანაყოფი. არის ახალი ინვენტარი, ახალი ტექნიკა. საგურამოს ეს უმნიშვნელოვანესი და დიდი დასახლება, ასევე მიმდებარე სოფლები, თითქმის ორმაგდება ზაფხულში მოსახლეობით, ჩვენი მოქალაქეებით. შესაბამისად, აქ ახალი განყოფილების ფუნქციონირება მნიშვნელოვანი იქნება როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ჩვენი პოლიციისთვის — უფრო გაუადვილდება მუშაობა“,** — განაცხადა შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა.

აღნიშნული სამსახურები დღემდე სხვადასხვა შენობაში იყო განლაგებული. მათი ერთ შენობაში განთავსება გააუმჯობესებს და მეტად კოორდინირებულს, ოპერატიულს, ეფექტურს გახდის მათ საქმიანობას.

შს მინისტრმა პოლიციის თანამშრომლებს საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

*„ვერსიანიუსი“*

# რატომ არ გაწევრიანდება დავით თევზაძე თავდაცვის ყოფილი მინისტრების კლუბში

ნინი ჯაფარიძე, 571-17-00-02

**თავდაცვის ახალი მინისტრის, თინა ხიდაშელის ჯარის წინაშე დაცვის ოფიცრის თანხლებით წარდგომა უკვე ბევრმა გააპროტესტა. პოზიცია თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, დავით თევზაძემაც დააფიქსირა საგანგებო ბრიფინგზე და ქალი-მინისტრის ქმედება ჯარის ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევად შეაფასა. დავით თევზაძის აზრით, მწყობრის წინაშე გამოსვლა და მით უმეტეს, სამხედრო ქურთუკით, ქართული არმიის შეურაცხყოფა იყო. თევზაძის განმარტებით, უმჯობესი იქნებოდა, ხიდაშელი თანამდებობაზე დანიშვნამდე თავდაცვის სფეროს სპეციფიკას უკეთ გასცნობოდა.**

**დავით თევზაძემ ჟურნალისტების, მათ შორის „ვერსიის“ კითხვასაც უპასუხა — შემოთავაზების შემთხვევაში, დათანხმდება თუ არა, გახდეს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი.**

**— ბატონო დავით, თავდაცვის მინისტრის მრჩეველობა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

— მოდით, ასე ნუ ვილაპარაკებთ. მე არ ვარ ის კაცი, „თურმეობით“ რამეზე ვიმსჯელო.

**— მაშინ ის გვითხარით, როგორ აფასებთ საქართველოს პირველ ქალ თავდაცვის მინისტრს?**

— თინა ხიდაშელს, როგორც თავდაცვის მინისტრს ვერ შევაფასებ. რამდენიმე დღეა ამ პოსტზე დაინიშნა და ჯერ არაფერი გაუკეთებია. რაც შეეხება სქესს — თავდაცვის მინისტრი ან პოლიტიკოსი უნდა იყოს, ან სერიოზული სამხედრო პროფესიონალი. ეს არის სამხედრო მართვის ორი სისტემა. რეალურად, არც ერთი წინა მინისტრი პოლიტიკური ფიგურა არ გახლდათ. ამ შემთხვევაში კი, ის მოთხოვნა, რომ მინისტრი პოლიტიკოსი უნდა იყოს, დაკმაყოფილებულია. პოლიტიკოსი პოლიტიკოსია, ქალია თუ კაცი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

**— ხიდაშელის მწყობრის წინაშე გამოჩენა სოციალურ ქსელში გააკრიტიკეთ. რატომ დაიწუნეთ მისი ჩაცმულობაც და დაცვის თანხლებით გამოჩენაც?**

— სამწუხაროდ, Facebook-ზე პოსტის გამოქვეყნების შემდეგ, ყურადღება ტანსაცმელზე გადავიდა. ტანსაცმელი იმ ვითარებაში მეორე მხარე იყო, თუმცა ვგულისხმობდი ჩაცმის მანერასაც. რაც შეეხება მწყობრს, აქ არის გარკვეული სისტემით მოწყობილი ადამიანები. მათ წინ მოღიავებული დგომა მიუღებელია, მით უმეტეს დაცვის თანხლებით, რომელიც დგას მასა და მწყობრს შორის. როგორც ჩანს, პროტოკოლის სამსახურიც არ ვარგა, თორემ ამ შეცდომას არ დააშვებინებდნენ. მისი იქ მისვლა ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევის პირველი მცდელობა იყო. მას იქ არაფერი ესაქმებოდა.

**— რატომ, თავდაცვის მინისტრს მწყობრის წინაშე გამოჩენის უფლება არ აქვს?**

— ამ შემთხვევაში, რეპეტიციაზე მისვლა, ჯარების სხვა — ინსპექტირების რეჟიმში გადაყვანას ნიშნავდა. მწყობრის წინაშე გამოჩენა მაშინაა მისაღები, თუ ახლავს მაღალი რანგის დელეგაციას. ასეთ შემთხვევაში მისთვის მოეწყობა მწყობრი და შეეძლება, წინ გაიაროს. სხვა მწყობრთან კი კავშირი არ აქვს.

**— თინა ხიდაშელმა თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ განაცხადა, რომ სამოქალაქო პირია და არა ჯარისკაცი. არის თუ არა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ქვეყნის პირველი ჯარისკაცი?**

— ეს ჯანსაღი განცხადება იყო. ზოგადად, ის არც პირველი ჯარისკაცია და არც უკანასკნელი. საერთოდ არ არის ჯარისკაცი, პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც მისმა გუნდმა მიავლინა თავდაცვის სამინისტროში, რათა მოახერხოს ამ უწყების შესაძლებლობების რეალიზება.

**— თქვენი აზრით, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თავდაცვის კარგი მინისტრი?**

— პოლიტიკურ გემოვნებაში მკაცრი კრიტერიუმები არ არსებობს. ვიცი, როცა ინიშნებიან გარედან მოსული ადამიანები (ხიდაშელი სწორედ გარედან არის მოსული, რადგან სამხედრო სფეროში არ უმუშავია), უკეთესია, კარგად გაერკვნენ, რასთან აქვთ საქმე. ზოგ ქვეყანაში, როცა ადამიანები პირველად შედიან თავდაცვის უწყებაში, სპეციალურ გადამზადებას გადიან. მაგალითად თურქეთში ეს მომზადება 3-6 თვეა. რაც შეეხება თავდაცვის სამოქალაქო მინისტრს, მისი პირველი ფუნქცია ქვეყნის პოლიტიკის სამხედრო ასპექტის მართვაა; მეორე — მას ევალება, მოიტანოს ბიუჯეტი, რომელიც აუცილებელია შემდგომი განვითარებისთვის. უნდა ეცადოს, მხედველობიდან არაფერი გამორჩეს. ამისთვის არსებობს სამხედრო ინსპექციის ინსტიტუტი. ბევრ ქვეყანაშია მდედრობითი სქესის თავდაცვის მინისტრები, მაგრამ ყველას ჰყავს საკმაოდ მაღალი რანგის სამხედრო თანაშემწე.

**— როგორ აფასებთ თინა ხიდაშელის ინიციატივას, თავდაცვის ყოფილი მინისტრების კლუბის შექმნასთან დაკავშირებით? ხომ არ აპირებთ გაწევრიანებას?**

— არსებობს ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია დსთ-ს თავდაცვის ყოფილი მინისტრების კლუბი. შემომთავაზეს გაწევრიანება, მაგრამ არც გავკარებივარ, რადგან ეს ჩემი ინტერესის სფერო არ არის. ასეთ კლუბში არ გავწევრიანდები, რადგან აქ იქნება ორი სხვადასხვა კატეგორიის ხალხი: რომლებისაც მესმის და მეორე — რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ აღნიშნულ პოზიციაზე. მე არ შეძლია კლუბის სავარაუდო წევრებთან სალაპარაკო თემა გამოვნახო. იქ რომ ყოფილიყვნენ პოლიტიკოსები და ყოფილი სამხედროები, სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ, აბა, დამისახელეთ რომელი იყო პოლიტიკოსი? ბეჟუაშვილი არ ყოფილა, თუმცა ყველაზე კარგად ერკვეოდა სისტემაში. იმის ხარჯზე, რომ წელიწადი თუ წელიწადნახევარი ჩემს მოადგილედ მუშაობდა. შემდეგ ბარამიძე. ეს უკანასკნელი რაშიც გაერკვა, იმაში მე არ მინდა გავერკვე. ოქრუაშვილმა ჯარს მიაყენა ისეთი გამიზნული და წერტილოვანი დარტყმები, რომ ჯარი ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანამატად გადაიქცა, შემდეგ კი, გარკვეულწილად, უწყებად, რომელიც ცხოვრობდა სასჯელაღსრულების სისტემის კოდექსით. რაც შეეხება ხიდაშელს, ის პირველი ქალი თავდაცვის მინისტრია და არ მესიამოვნება, თუ წარუმატებელი იქნება. ზოგადად, თავდაცვის არც ერთი მინისტრის წარუმატებლობა არ მესიამოვნება.



# სტუდენტები პერმანენტული საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

## რატომ ითხოვენ ახალგაზრდები მთავრობისგან მინერალური წყლის ახალი პროგრამის განხორციელებას

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

„დადგა მოქმედების დრო“, „ჩამოვკრათ განგაშის ზარს“, „გვეყიდება საქართველო“, — ამ ლოზუნგებით გამართა სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათამდე სტუდენტმა. ახალგაზრდებს წვიმის გამო ხის ბანერებზე გაკრული ლოზუნგებიც დაუსველდათ, მაგრამ ავდარმა პრობლემა ვერ შეუქმნა. მათი თქმით, მთავარი მოთხოვნების დაფიქსირება და ხელისუფლებამდე ხმის მიწვდენაა. როგორც გავარკვიეთ, სტუდენტების მთავარი მოთხოვნა ეროვნულ სიმდიდრეს, საქართველოს მინერალურ წყალს უკავშირდება — საინიციატივო ჯგუფის ლიდერმა როინ ჩიტუაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ მალე საქართველოში შესაძლოა წყლის რესურსები გასხვისდეს. კერძოდ, მოსალოდნელია, მიწისქვეშა წყლის მარაგები (დებეტები) გაიყიდოს და წყლის ინდუსტრიის შექმნას ხელი შეეშალოს. „არ დავთმობთ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ იმედს“, — ასეთია სტუდენტების განწყობა. როინ ჩიტუაშვილის აზრით, სწორედ წყლის რესურსია ქვეყნის „ეკონომიკური სასწაული“: „მეცნიერთა ჯგუფმა წარმოაჩინა კონცეფცია — სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნა, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის გარანტია. პროგრამის თანახმად, დაფასოებული წყალი ქვეყნის გარეთ უნდა გავიდეს. საქართველო ამით დიდ მოგებას ნახავს, ბიუჯეტი შესაძლოა 12 მილიარდი დოლარით გაიზარდოს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულები არიან პროექტით და მზაობას აცხადებენ, 3 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელონ, თუმცა ქვეყანაში არსებული გარკვეული ჯგუფები, ამ პროექტის ჩასაშლელად ძალისხმევას არ იშურებენ. ინვესტორები კი პროექტის განხორციელებას 8 თვეა ელოდებიან, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო, საქმე ბოლომდე არ მიდის. გვჯერა, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეროვნული კაცია. დარწმუნებულები ვართ, ამ პროექტის განხორციელება მასზე მეტად არავის უნდა, მაგრამ როგორც ჩანს, გარკვეული ადამიანები მაინც ახერხებენ, პროექტს წინ აღუდგენ. ეს კი ქვეყნისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ მინერალურ წყალს მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ, ეს იქნება თითოეული ოჯახის კეთილდღეობის საწინდარი. ჩვენი ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდება და ეს ყველა ოჯახს დაეტყობა. წყალი ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა“. სტუდენტების განმარტებით, ორი თვის წინ მიმართეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და პასუხს ელოდებიან. სახელმწიფო კანცელარიიდან დოკუმენტიც მიიღეს, რომელიც აიმედებს, რომ მათ მოთხოვნას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მართლაც განიხილავს. შესაბამისად, იმის იმედიც აქვთ, რომ პროექტი, რომელიც, მათი განმარტებით, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისთვის უმნიშვნელოვანესია, დროულად განხორციელდება.

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა სტუდენტების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ახალგაზრდები პროტესტს არ შეწყვეტენ და აქციებს პერმანენტულად ჩაატარებენ.

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

# ბათუმის №3 დაწესებულების მსჯავრდებულები შველას ითხოვენ

## გაითვალისწინებს თუ არა სასჯელაღსრულების სამინისტრო სახალხო დამცველის რეკომენდაციებს

**„მოგმართავთ ბათუმის №3 დაწესებულების მსჯავრდებულები და მოგახსენებთ აქ არსებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელსაც ჩვენს მიმართ ახორციელებს არაერთი თანამშრომელი, დაწესებულების დირექტორი, მისი მოადგილე, რეჟიმის უფროსი, უსაფრთხოების უფროსი... ისინი განზრახ გვისპობენ ჯანმრთელობას, გვათავსებენ „ვანდალურ საკანში“, არ გვაწვდიან ელემენტარულ სასუნთქ ჰაერს, რასაც თავის ანგარიშში აღწერს სახალხო დამცველიც. გთხოვთ, დაგვეხმაროთ და აცნობოთ საზოგადოებას, როგორ გვისპობენ სიცოცხლეს ეს პირები, რომლებიც შეთანხმებით მოქმედებენ სამედიცინო პერსონალთან, ერთობლივად სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებს, გვექცევიან არაადამიანურად და უშუალოდ მონაწილეობენ ჩვენს წამებაში“, — ეს სასჯელაღსრულების №3 დაწესებულების პატიმართა უკვე მეორე წერილია, რომელიც „ვერსიის“ რედაქციაში მოვიდა და ახლავს სახალხო დამცველის ანგარიშიც.**

პატიმრები საკუთარ ყოფაზე რომ ჩივიან, ამაში ახალი არაფერია, სისტემას ძირეული ცვლილება რომ სჭირდება და სრულყოფამდე ბევრი უკლია, არც ესაა საიდუმლო, მაგრამ საოცარია, 2012 წლის შემდეგ პატიმართა წამების შესახებ ინფორმაციები ჯიუტად რომ ვრცელდება და მიუხედავად ტრაფარეტული ფრაზისა — „ყველაფერს ვაკეთებთ მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად“ — მსჯავრდებულები ყურადღების მიპყრობის მიზნით თვითდაზიანებასაც არ ერიდებიან.

რა არის ეს — საკუთარი მდგომარეობით შანტაჟი, იაფფასიანი სპეკულაცია თუ მკაცრი რეალობა, რომლისთვის თვალის გასწორებასაც ვერავინ ბედავს?

ასეა თუ ისე, ფაქტია, სახალხო დამცველი 2014 წლის ოქტომბერში №3 დაწესებულებაში ვიზიტის ანგარიშში, სასჯელაღსრულების მინისტრს გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევს. **„უზრუნველყოს საჯელაღსრულების №3 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი სწავლება; 2. არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით უზრუნველყოს ობიექტური შიდა მონიტორინგის განხორციელება, გაატაროს მკაცრი ზომების იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არაჯეროვნად ასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებას; 3. შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე; 4. შეისწავლოს ე.წ. ანტივანდალურ საკანში პატიმართა მოთავსების საკითხი და მიიღოს ყველა გონივრული ზომა ამ საკანში პატიმართა უკანონოდ მოთავსების თავიდან ასაცილებლად“,** — ეს სახალხო დამცველის რეკომენდაციათა არასრული ჩამონათვალია, თუმცა რადგან რედაქციაში მსჯავრდებულთა მეორე წერილი მოვიდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, შედეგი იგვიანებს.

ასევე საკმაოდ საინტერესოა, სახალხო დამცველის ანგარიშში ასახული ისტორიების გაგრძელება. კი ბატონო, წერს სახალხო დამცველი, რომ ირღვევა ადამიანთა უფლებები, კონკრეტულად №3 დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზეც საუბრობს, მაგრამ რა, მერე?

„ვერსიის“ კითხვებს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს უფროსი, **მიხეილ მინდაძე** პასუხობს:

**— ბატონო მიხეილ, სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების მინისტრს არაერთ რეკომენდაციას აძლევს. რამე რეაგირება თუ მოჰყვა ამ ყველაფერს?**

— პატიმრები გაუსაძლის პირობებზე, არასათანადო მოპყრობისა და წამების ფაქტებზე საუბრობენ და ეს საკითხები ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ჩაატარა მონიტორინგი, რა თქმა უნდა, გამოვლინდა დარღვევები, მივეცით რეკომენდაციები, მაგრამ ეს საკითხები მოკლევადიან პერსპექტივაში არ გულისხმობს ამ პრობლემების აღმოფხვრას. სასჯელაღრსულების სამინისტრომ კი გვიპასუხა, რომ ეტაპობრივად ეცდებიან აღმოფხვრან ყველა პრობლემა, ჩვენ ვადევნებთ თვალს და თუ საჭიროება იქნება, კიდევ ჩავატარებთ მონიტორინგს, რათა გავიგოთ, რა შეიცვალა.

**— რედაქციაში №3 დაწესებულებიდან უკვე მეორე წერილი მივიღეთ. თქვენი აზრით, რისი ბრალია ეს, შეიძლება ვივარაუდოთ, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს არ ითვალისწინებენ?**

— ასე, ცალსახად ვერ ვიტყვი, რაიმე კონკრეტული შეიცვალა თუ არა... ვიმეორებ — ეს საკითხები მოკლე დროში მოგვარებადი არ არის, ჩვენ კი უნდა მივადევნოთ თვალი. გვაქვს ინდივიდუალური საჩივრები და ყველა მათგანზე ვახდენთ სათანადო რეაგირებას.

**— თქვენი რეაგირება სახალხო დამცველის ანგარიშია — რაიმე ბერკეტები თუ გაქვთ, რეკომენდაციები გარკვეულმა სტრუქტურებმა გაითვალისწინონ?**

— ასეთი მექანიზმი სახალხო დამცველის წლიური ანგარიშია... ერთადერთი ბერკეტი არის პარლამენტის დადგენილება, რომლითაც კონკრეტულ უწყებებს ევალება რეკომენდაციების შესრულება. თუ საერთოდ შეიძლება ეს ბერკეტად ჩაითვალოს... სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციების მხოლოდ 49 პროცენტი სრულდება, იძულების სხვა ბერკეტი კი არ გააჩნია.

**— გამოდის, №3 დაწესებულებაში რა დარღვევებიც უნდა აღმოაჩინოთ, ვერავის აიძულებთ, თქვენი რეკომენდაციები გაითვალისწინოს... რა მოხდება შემდეგ?**

— ჩვენს წლიურ ანგარიშში ავსახეთ ეს პრობლემა, სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და სამინისტროს მიეცა რეკომენდაციები. აუცილებლად მივადევნებთ თვალს... თუმცა, არის საკითხები, რომელთა მოგვარებასაც დრო სჭირდება. ეს საჩივრები ჩვენთანაცაა და გარწმუნებთ, მათ სათანადო ყურადღება ექცევა.

**— ისიც საინტერესოა, ამდენი პრევეცნიული ღონისძიების შემდეგ, პატიმრები კვლავ წამებაზე რატომ საუბრობენ?**

— ბათუმის №3 დაწესებულებაში ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტი არ დადასტურებულა. სახალხო დამცველს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტი არ დაუფიქსირებია...

იყო დირექტორზე საუბარი და სავარაუდოდ, გულისხმობენ დისციპლინურ პასუხისმგებლობას, „ვანდალურ საკანს“ აპროტესტებდნენ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს საკითხები შესწავლილი გვაქვს და იქ ამ დრომდე ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტი არ დაგვიდგენია.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების პოზიციას, წინა სტატიაში „ვერსიასთან“ პატიმართა ბრალდებები უარყვეს, ხოლო რაც შეეხება ვენტილაციის სისტემისა და სასმელი წყლის საკითხს, განაცხადეს, რომ დაწესებულება ორიოდ წლის წინ გარემონტდა და ამ მხრივ პრობლემები არ არსებობს.

# ნეპალის მიწისძვრის შედეგად მსოფლიოს ქოლერა და ტიფი ემუქრება

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

**ნეპალში მომხდარმა მიწისძვრამ მსოფლიო შეძრა. ათასობით დაღუპული და ათიათასობით დაზარალებული, ასეთია საგანგაშო სტატისტიკა, მაგრამ მსოფლიო მეცნიერები საფრთხეს გადავლილად არ მიიჩნევენ და შიშობენ, რომ მსოფლიოს ინფექციების ახალი ტალღა გადაუვლის, რასაც ნეპალში არსებული ანტისანიტარია და წყლის მიწოდების დაზიანებული სისტემები განაპირობებს.**



ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ამ საფრთხის თავიდან აცილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია — მით უმეტეს, ისეთი მასშტაბის ბუნებრივი კატასტროფისას, რაც ნეპალში მოხდა. სტიქიის შედეგად გავრცელებული ინფექციები კი უამრავ სიცოცხლეს შეიწირავს არა მხოლოდ კატასტროფის ადგილას, არამედ მთელ მსოფლიოში, — აცხადებენ მეცნიერები და საკუთარ მოსაზრებას არგუმენტებით ამყარებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ დაზარალებულია უამრავი ადამიანი და ადგილობრივ საავადმყოფოებში ფიზიკურად ადგილი აღარ არის, ასევე არაა სამყოფი საკვები პროდუქტი და სასმელი წყალი, ექიმების შიშს, სერიოზულ სამედიცინო კრიზისთან დაკავშირებით, საფუძველი ნამდვილად აქვს. **„ადამიანები მიწაზე წვანან, ღია ცისქვეშ, ხოლო მათ გვერდით ყრია ნაგავი, მათთვის ხელმიუწვდომელია სამედიცინო ნიღბები, არ ჰყოფნით პროდუქტი, დაბინძურებულია სასმელი წყალი... ერთი სიტყვით, ყველა პირობაა ინფექციების აფეთქებისთვის“,** — ამბობს სამედიცინო ექსპერტი.

დაზარალებულთა უმეტესობას აღენიშნება სისხლძარღვთა პრობლემები, რაც ხშირად ლეტალობით სრულდება. ჩატარებულმა კვლევებმა კი არაერთხელ ცხადყო, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც მიწისძვრა გადაიტანეს, სერიოზულად უუარესდებათ ჯანმრთელობა, უსახლკაროდ დარჩენილების იმუნური სისტემა მკვეთრად ქვეითდება და შესაბამისად არსებულ ინფექციებს ორგანიზმი ვეღარ ეწინააღმდეგება.

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორები მასობრივ მოწამვლას იწვევს, ჩნდება ნაწლავური ინფექციების კერები, დაბინძურებული წყლის შედეგად ვრცელდება ვირუსული ჰეპატიტები, წითურა და ტუბერკულოზი, რასაც ხელს უწყობს ის, რომ დროულად ვერ გააქვთ ნაგავი, შენობის ნანგრევებში უამრავი მღრღნელია, რომლებიც სხვადასხვა ინფექციის გადამტანი გახლავთ და რაც მთავარია, მოშლილია საკანალიზაციო სისტემა, დაბინძურებული წყალი სასმელ წყალს ერევა და ყველა უბედურების სათავეც სწორედ ესაა.

ერთი შეხედვით, ჩამოთვლილი პრობლემები თითქოს ლოკალურია და მხოლოდ ნეპალს შეიძლება ემუქრებოდეს, მაგრამ ფაქტია — მეცნიერები საგანგაშო დასკვნებს დებენ და აღნიშნავენ, რომ საფრთხის წინაშე მთელი მსოფლიოა, რადგან:

1. კატასტროფის ადგილას უამრავი დამხმარე ჩადის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც შეიძლება იყვნენ ადგილობრივი ტერიტორიისთვის არატიპური ვირუსული აგენტის მატარებლები, არსებულ ვითარებაში კი შეუძლებელია გარკვევა, რა ვირუსები და ბაქტერიებია კატასტროფის ზონაში;

2. მიწისძვრის შედეგად ცხოველთა მიგრაციაც საკმაოდ საყურადღებო ფაქტორია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ცხოველები ითვლებიან უამრავი დაავადების გადამტანად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არა მხოლოდ ნეპალი, მეზობელი ტერიტორიებიც საფრთხის წინაშეა;

3. წლების განმავლობაში დაკვირვებამ ცხადყო, რომ მიწისძვრის შემდეგ უამრავი ადამიანის დაღუპვის მიზეზი სწორედ ინფექციებია, პირველ რიგში კი, ქოლერა — ნაწლავური ინფექცია, რომელიც ორგანიზმში ხვდება დაბინძურებული წყლიდან ან საკვებიდან. დაავადება ძალიან სწრაფად ვრცელდება, იწვევს დიარეას, გაუწყლოებას და შეუძლია მოკლას ადამიანი 24 საათში;

4. შემდეგი საფრთხე ტიფია, რასაც დაბინძურებული წყალი იწვევს. ტიფისგან თავდასაცავად არსებობს ვაქცინა და მას ანტიბიოტიკებით მკურნალობენ, მაგრამ გლობალური კატასტროფის შემდეგ, განსაკუთრებით ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში, ამაზე ხშირად არც დრო ჰყოფნით და არც სამედიცინო რესურსი;

5. ანტისანიტარიაში სწრაფად ვრცელდება ასევე პარაზიტები, რომელიც იწვევს დეზინტერიას, ტროპიკულ კლიმატში კი კოღოებს გადააქვთ მალარია და მომაკვდინებელი დენგეს ცხელება.

# ჩრდილოეთ კორეის თავდაცვის მინისტრი თვლემის გამო დახვრიტეს

## კორეული კანონების მიხედვით, რომელ ქართველ თავდაცვის მინისტრს გაუყენებდნენ პოლიგონის გზას

**სეული: ჩრდილოეთ კორეის თავდაცვის მინისტრი იმის გამო დახვრიტეს, რომ ჩაეძინა სამხედრო ღონისძიებაზე, რომელსაც კიმ ჩენ ინი ესწრებოდა.**

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ოფიციალური სეულის განმარტებით, ჩრდილოეთ კორეის თავდაცვის მინისტრი ხიონ იონ ჩხოლი იმის გამო დახვრიტეს, რომ დაეძინა სამხედრო ღონისძიების დროს, რომელსაც პრეზიდენტი კიმ ჩენ ინი ესწრებოდა. სამხრეთ კორეის დაზვერვა იუწყება, რომ მინისტრი ლიდერის უპატივცემულობაში დაადანაშაულეს და ამის გამო, 30 აპრილს, საზენიტო ქვემეხით, ასობით მაღალჩინოსნის თვალწინ გამოასალმეს სიცოცხლეს. მიუხედავად იმისა, რომ სეულში „ბიბისის“ კორესპონდენტის, სტივენ ევანსის ინფორმაციით, ხიონ იონ ჩხოლი კიმ ჩენ ინთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი იყო.

ინფორმაციას მთავრობის წევრის დახვრეტის შესახებ სამხრეთ კორეული საინფორმაციო სააგენტო „იონხაპი“ ავრცელებს. ამბობენ, რომ ხშირად ეს სააგენტო დეზინფორმაციას ავრცელებს ჩრდილოეთ კორეის ლიდერის შესახებ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, გადამოწმება მარტივია — თავდაცვის მინისტრი 30 აპრილის მერე არ გამოჩენილა საზოგადოებაში. ამავე სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე წელს, კიმ ჩენ ინის ბრძანებით, სულ 15 კორეელი მაღალჩინოსანია დახვრეტილი. მანამდე, კორეულ მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თანამდებობის დასჯილ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია და კვირა არ გავა, პრეზიდენტის წყალობით, ვინმე არ გამოასალმონ სიცოცხლეს. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კიმ ჩენ ინი თავს დაუცველად გრძნობს და გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ კორეის ლიდერი გარშემომყოფებისთვის საშიშია. მან, არც ისე დიდი ხნის წინ, ერთ-ერთი მინისტრის მოადგილეც დასაჯა სიკვდილით, მხოლოდ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა მსუბუქად გააკრიტიკა.

2013 წლის დეკემბერში კი, გავრცელდა ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის ლიდერის, კიმ ჩენ ინის ბიძის, ჩან სონ თხეკის სიკვდილით დასჯის შესახებ. კორეის ლიდერის ბიძა ჩინეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ეკონომიკური რეფორმების მხარდამჭერიც იყო. იგი კორეის შრომის პარტიის პოლიტბიუროს სხდომაზე დააპატიმრეს და დახვრიტეს მაშინვე, როგორც კი სამხედრო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა.

ხიუნ იუნ ჩხოლი სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრად 2014 წელს დანიშნეს. გენერალი კი 2010 წელს გახდა. მის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. 2011 წლის დეკემბერში ის კიმ ჩენ ინის დაკრძალვის კომიტეტის წევრიც გახლდათ, რაც ადასტირებს, რომ უმნიშვნელოვანესი პოზიცია ეკავა ჩრდილოკორეულ პოლიტიკურ იერარქიაში.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ასეთი მეთოდით კიმ ჩენ ინი ცდილობს, ძალაუფლება გაიძლიეროს. მაიკ მადდენის აზრით, ხიუნ იუნ ჩხოლის დახვრეტა იმის დემონსტრირებაა, რომ „კიმ ჩენ ინი იმპულსური მმართველია, რომელიც თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს“.

აპრილში, არასამთავრობო ორგანიზაციამ Committee for Human Rights in North Korea (CHRNK ) გამოაქვეყნა თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოები, სადაც აშკარად ჩანს კანგონის პოლიგონზე უჩვეულო მოქმედებები 2014 წლის ოქტომბერში. არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს — ფოტოები ცხადყოფს, რომ საარტილერიო იარაღით, ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მიზანში ჰყავთ ამოღებული. პოლიგონზე კი მოწყობილია სტენდი მაყურებელთათვის. მოშორებით, სამოქალაქო მანქანებიც დგას. არასამთავრობო ორგანიზაციის ვერსიით, ეს ქვემეხით სიკვდილით დასჯისთვის მზადებაა, თუმცა, ამის დადასტურება მხოლოდ ამ ფოტოებით შეუძლებელია.

### საქართველოში რომ კორეული კანონები იყოს

ჩვენ დედასაქართველოს ხან რომელ ქვეყანას ადარებენ, ხან რომელს. ხან სინგაპურიზაციის გზას გვიყენებენ და ხანაც დუბაიზაციის. კიდევ კარგი, ჩრდილოეთ კორეა არავის გახსენებია აქამდე, თორემ... საქართველო რომ კორეა იყოს, „საზარბაზნე ხორცად“ რამდენს ვიხილავდით, წარმოდგენა არც ისე რთულია. მე შენ გეტყვი, ფიცხი ხასიათი არ გვაქვს, ვირზე უკულმა არ შეგვისვამს ხალხი, ლინჩის წესით არ გაგვისამართლებია, ჩვენი ლიდერები თავს დაუცველად არ გრძნობენ თუ პრეზიდენტები არ გვყოლია ისეთები, გურიაში რომ ამბობენ, არაა მაი მთლად დალაგებულიო. „მთლად დალაგებული“ და თანამდებობისთვის შესაფერისი, არც თავდაცვის მინისტრები გვყოლია და თითო ისეთი სკანდალი, კორეულ რეალობაში ქვემეხების სამიზნედ რომ აქცევდა, ყველას აქვს. ამ მხრივ რეკორდი, მგონი ახალგათავდაცვისმინისტრებულმა თინათინ ხიდაშელმა მოხსნა — დანიშნული არ იყო, კრიტიკის ისეთ ქარცეცხლში გაეხვია, ღმერთს მადლობა, კორეული კანონები არ კანონობს ჩვენთან, თორემ ნახავდა ჯარისკაცის „ბუშლატამოსხმულს“ „ქართველი კიმ ჩემ ინი“ და გასცემდა ბრძანებას — რასაა რომ კადრულობს ეს ქალი, როგორ შეურაცხყოფს მებრძოლის სამოსელსო. სამოსელს ვინ ჩივის, თავდაცვის ქალბატონ მინისტრს თავად ქართული არმიის შეურაცხყოფისთვისაც დაუმიზნებდნენ ალბათ საარტილერიო იარაღს — ჯართან დაცვით მივიდა, თანაც დაცვა ჯარისკაცებსა და

**ხიონ იონ ჩხოლი თავდაცვის მინისტრად 2014 წელს დაინიშნა**

**გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის დასაწყისში, კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის ბრძანებით, 15 ჩრდილოკორეელი მაღალჩინოსანი დახვრიტეს**

თავის შორის ჩაიყენა, თითქოს მათგან იცავდა თავსო.

ქვემეხებს არც ხიდაშელის წინამორბედი მინდია ჯანელიძე გადაურჩებოდა. მიზეზად, სხვა თუ არაფერი, უკრაინაში ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის შემდეგ, მისი უწყების მიერ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებაც იქნებოდა საკმარისი, სადაც ქართველი გმირი „სხვისი ომის მებრძოლად“ მოიხსენიეს; ისიც საკმარისი იქნებოდა, ჯანელიძემ ამის შემდეგ იაფფასიანი ფრაზით რომ იმართლა თავი — რა ვქნა, ბატონო, არ წამიკითხავს განცხადების საბოლოო ვერსიაო. ეტყობა, ამ დროს „ქართველი კიმ ჩენ ინი“ ჯანელიძეს, თუ იმ განცხადებებსაც არ კითხულობ, რასაც შენი უწყება შენი სახელით ავრცელებს, მაშინ რა თავდაცვის მინისტრი ხარო და...

ალასანიას ალბათ „დუბაის სკანდალის“ შემდეგ მოუწევდა „მსხვერპლად შეწირვა“. ვინ აცდიდა იმის დამტკიცებას, იმგზავრა თუ არა გიგი უგულავას ცოლსა და მის მეგობრებთან ერთად და უპაჭუნა თუ არა თვალები. დასრულებული არ ექნებოდა ბიძინა ივანიშვილს ორაზროვანი განცხადებები და ფრაზა — შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს, ჯერ ახალგაზრდაა, ირაკლის პატარა რაღაც შეეშალა, ეს პირადული საკითხია და პირადულში არ შევდივარო, რომ... გააქანებდნენ ელჩყოფილ მინისტრს ქვემეხებიან პოლიგონზე.

პოლიგონი არ აცდებოდა დიმიტრი შაშკინსაც, რომელსაც საყვედურობდნენ, სასჯელაღსრულება და თავდაცვა ვერ განუსხვავებია და ჯარში ციხის კანონები შემოაქვსო... მაგრამ „ჯარის გაციხება“ რა მოსატანია ბაჩო ახალაიას ვაშლის ფრცქვნასა და ჯარისკაცების გინებასთან. ქვეყნის მთავარ ვაშლის მთლელს მაშინ გაუყენებდნენ პოლიგონის გზას, როგორც კი, პირველი ვაშლის გათლას დაასრულებდა, პირველ ჯარისკაცს შეაგინებდა დედას და პირველ შემპასუხებელს ესროდა დანას.

ირაკლი ოქრუაშვილი საარტილერიო იარაღს საახალწლოდ შეეწირებოდა. დაიბარებდა „ქართველი კიმ ჩენ ინი“ და ეტყოდა: ვის ატყუებ შე თავდაცვის მინისტრო, სადაა დაპირებული ცხინვალში შევარდნაო. არ აპატიებდნენ თავდაცვის მინისტრს არც პირობის არშესრულებას და არც ქართული კულტურის შეურაცხყოფას — ეგ ის კაცია რუსეთში ექსპორტირებულ ქართულ ღვინოს „ფეკალიები“ რომ უწოდა, ჰოდა, გაიმეტებდნენ საქვემეხედ, აუცილებლად.

დავით კეზერაშვილს იარაღის კონტრაბანდის ბრალდების გამო გაუყენებდნენ ზარბაზნის გზას, მაგრამ ესეც რომ შერჩენოდა ხახვივით, 2008 წელს ვერ გადაურჩებოდა — კორეას რომ თავი დავანებოთ, რიგ ქვეყნებში სიკვდილით წაგებული ომის „გმირ“ ჩინოსნებს სჯიდნენ და კეზერაშვილი აგვისტოს ომის დროს იყო სწორედ თავდაცვის მინისტრი. ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, ამ უკანასკნელის გარდა, ქვემეხის სამიზნე კიდევ არაერთი ადამიანი იქნებოდა ჩვენ ქვეყანაში.

ისე, ჩრდილოეთ კორეის თავდაცვის მინისტრი, პრეზიდენტის შეურაცხყოფის ბრალდებით გამოასალმეს სიცოცხლეს და არც ჩვენი თუ სხვისი პრეზიდენტების შეურაცხყოფაა ქართველი ლიდერებისთვის „უცხო ხილი“. სერიოზული ბრალდებები და გახმაურებული საქმეები სტატიის ჟანრის გამო არ გავიხსენეთ. თანაც, იმის ხაზგასმა გვინდოდა, რომ უმაგისოდაც საკმაო მიზეზი იქნებოდა ჩვენი ჩინოსნების დასასჯელად, საქართველოს კიმ ჩენ ინის მსგავსი მმართველი რომ ჰყავდეს. ჰოდა, მადლობა შეწირონ ამ ქვეყნის ძლიერებმა უფალს, რომ საქართველო კორეა არ არის და ამ მიმართულებით მაინც ითვლება ჩვენი ქვეყანა ცივილიზაციისა თუ დემოკრატიის შუქურად.

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ბიძა ჩან სონ თხენი, 2013 წელს, შრომის პარტიის პოლიტბიუროს სხდომაზე დააპატიმრეს**

1.დელფინისებრთა ოჯახის ცხოველი
2. იაპონიის უმაღლესი მწვერვალი
3.ტენიანი ადგილების მცენარე
4. გადაბრუნებული ბერძნული ასო დელტა
5. მდგომარეობა სამართალში
6. წონის ერთეული, 1000 კგ
7.ყველაზე მაღალმთიანი ტბა
8. დიდი ბერძენი ისტორიკოსი
9. დიდი რუსული სადღესასწ. პური
10.ოპერა „აიდას“ პერსონაჟი
11.დეკორატიული ლარნაკი
12. „მონანიების“ რეჟისორი
13. დიდი სისუსტე მათემატიკაში
14. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი
15. ფუტკრის შხამი
16. პოსეიდონის ვაჟი
17. ღამის თუთიყუში
18.მულტსერიალი „... და დათვი“
19.მეფე არტურის მაგიდის ფორმა
20. საკვდომი ნერვის ანთება
21. საფეიქრო ბანანი
22. მგალობელი ფრინველი
23. ქართლის მეფე III ს-ში
24.სახალხო პოეტი მომღერალი შუა აზიაში
25. საქონლის წვნიანი საკვები
26.სხვისი წვალებით სიამოვნების მიღება
27. განსხვებული ზოლი ქსოვილზე
28. წყვილი ერთიანი კამათელზე
29. ტვირთის ასაწევი მექანიზმი
30.მწვავე სუნის მქონე სითხე
31. ტროპიკული ხილი
32. ბაბილონის ლეგენდარ. მეფე
33. ჩინეთის ფულის ერთეული
34.სწორი ხაზი, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება ორივე მხარეს
35.უფულოდ უმრომელად ნაშოვნი ქონება
36.აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
37. იაპონელთა ეროვნული ჭიდაობა
38. მტაცებელი ცხოველი
39.დაბალი დგომი სათხილამ. სპორტში
40. გერდას მეგობარი ბიჭუნა
41. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
42. (კუთხ.) ახლა, ამჟამად
43.ზრდილობიანი მიმ. ფორმა იაპონიაში
44. ტბა თბილისის შემოგარენში
45. პატარა ვიდეორგოლი
46. უკრაინის პარლამენტი
47. მხარე, მიდამო
48. საფარიკაო იარაღი
49.აღმოსავლური მრავალღერიანი ფლეიტა
50. მომავალი დრო
51. საბავშვო სათამაშო
52. „ბითლზის“ წევრი
53. ანტილოპების გვარის ძუძუმწოვარი ცხოველი
54. მხატვარი ... გოგენი
55. შუა აზიელთა ქეჩის კარავი
56.ქსანელისა და ინდიელის შთამომავალი
57. ქართველთა წმინდანი ქალი

# ქიმიოთერაპია თავის ტვინს აზიანებს

კანადელმა სწავლულებმა კვლვისას ადამიანის ორგანიზმზე ქიმიოთერაპიის კიდევ ერთი ნეგატიური ასპექტი აღმოაჩინეს. კერძოდ, მკურნალობის ეს მეთოდი თავის ტვინის მუშაობას აფერხებს, განსაკუთრებით ზიანდება ის ზონები, რომელიც პასუხისმგებელია მეხსიერებასა და ყურადღების კონცენტრაციაზე. მეცნიერთა კვლევებში იმ მანდილოსნებმა მიიღეს მონაწილეობა, ვინც სარძევე ჯირკვლის კიბო ქიმიოთერაპიის შედეგად დაამარცხა. ექსპერიმენტისას აღმოჩნდა, რომ მონაწილეები დიდხანს ვერ ახერხებდნენ ყურადღების კონცენტრირებას მიცემულ დავალებაზე, რადგან ტვინის ის ნაწილი, რომელიც ამ ფუნქციაზეა პასუხისმეგებელი, გათიშული იყო. მშვიდ მდგომარეობაში კი, როცა ქალებს არაფრის კეთება ევალებოდათ, ტვინი ჩვეულებრივ ფუნქციონირებდა. არადა, სამწუხაროდ, დღეისთვის ქიმიოთერაპია ზოგჯერ ერთადერთი საშუალებაა ონკოლოგიურ დაავადებასთან საბრძოლველად.

# ხელოვნური თვალი უსინათლოებისთვის

იტალიელ მეცნიერთა ჯგუფმა ხელოვნური თვალი შექმნა, რომელსაც იმავე ფუნქციების შესრულება შეუძლია, რაც ნამდვილს. თუმცა, სიახლის გამოყენებას ჯერ კიდევ დიდხანს, დაახლოებით 2027 წლამდე ვერ შეძლებენ. სწორედ ამ დროისთვის იგეგმება პირველი კონცეპტის შექმნა. მკვლევარებმა კონცეპტუალურ ტექნოლოგიას EYE უწოდეს. შემუშავებული სქემის მიხედვით, სინთეტიკური თვალი შეიქმნა, რომელიც შეიძლება პროთეზად გამოიყენონ, არა მხოლოდ კოსმეტიკური თვალსაზრისით — ადამიანს მისი საშუალებით ისევე შეეძლება დანახვა, როგორც საკუთარი თვალით. ამ მომენტისთვის უკვე შემუშავებულია უმეტესობა ტექნოლოგიებისა, რაც სრულფასოვანი თვალის შექმნისთვისაა საჭირო. სინთეტიკურ თვალს 3D-ბიოპრინტერზე დაბეჭდავენ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახალი მექნიზმი რევოლუციას მოახდენს ოფთალმოლოგიაში.

# დაშლადი პლასტიკური მასალა შექმნეს

თურქმა ქიმიკოსებმა უნიკალური აღმოჩენა გააკეთეს — ბამბის, სიმინდის, მზესუმზირის ფოჩებისა და ღეროების ბიონარჩენებისგან ისეთი პლასტიკური მასალა შექმნეს, რომელიც ვადის გასვლის შემდეგ, ბოლომდე იშლება და ნარჩენებს არ ტოვებს. მასალა იმდენად უვნებელია, რომ მისი ჭამაც კი დაშვებულია, არ აბინძურებს გარემოს და მისი გამოყენება შესაფუთ ტექნოლოგიაშიც შეიძლება. თურქი მკვლევარების აღმოჩენა დიდ წვლილს შეიტანს ამ ინდუსტრიის განვითარებაში და მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების ამოწურვით გამოწვეული კრიზისისგანაც იხსნის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 40 წლის შემდეგ ნავთობის მარაგი ამოიწურება, შესაბამისად გაქრება მისგან წარმოებული პროდუქტი, მათ შორის პოლიეთილენიც. გარდა ეკოლოგიურად სუფთა წარმოებისა, თურქი მკვლევარების თქმით, გამოგონების უნიკალური ბიომასალა მიკრობებს არ იკარებს, ამიტომ მასში შეფუთული პროდუქტი უფრო დიდხანს შეინახება.

# სუდოკუ

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 1 |
| 6 | | | 2 | | 1 | | | |
| | | 5 | | | | | 7 | 2 |
| | 9 | | | | 2 | 8 | | 7 |
| | 6 | | 8 | | 7 | | 5 | |
| 8 | | 3 | 4 | | | | 9 | |
| 1 | 8 | | | | | 6 | | |
| | | | 6 | | 3 | | | 9 |
| 9 | | | | | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | 8 | 5 | | | | |
| | 4 | 5 | | | | | | |
| | | 8 | | | 3 | | 6 | |
| | 7 | | 5 | | 6 | 4 | | |
| 9 | | | 4 | 8 | 1 | | | 6 |
| | | 4 | 3 | | 7 | | 5 | |
| | 9 | | 2 | | | 3 | | |
| | | | | | | 2 | 1 | |
| | | | | 3 | 5 | | 7 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 9 | 1 | | 7 |
| 4 | | | | | 6 | | 3 | |
| | | | | | 1 | | | 6 |
| | | 2 | | 5 | | | 7 | |
| | 8 | | 3 | | 4 | | 5 | |
| | 3 | | | 6 | | 9 | | |
| 3 | | | 6 | | | | | |
| | 9 | | 2 | | | | | 4 |
| 2 | | 7 | 9 | | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 4 | | | | 2 |
| 3 | 2 | 4 | | | 6 | 9 | 7 | |
| | | | | | 2 | 8 | | |
| | | | | 9 | | | 5 | |
| | 7 | | 4 | | 8 | | 9 | |
| | 6 | | | 1 | | | | |
| | | 9 | 3 | | | | | |
| | 1 | 6 | 9 | | | 3 | 4 | 7 |
| 4 | | | | 7 | | | | |

## პლასტიკური ოპერაციები ცვლის ადგილებს

ამერიკელმა მეცნიერებმა, კვლევების საფუძველზე დაამტკიცეს, რომ სახეზე გაკეთებული პლასტიკური ოპერაციები, განსაკუთრებით ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე და ტვინის დაბერებას აჩქარებს. კერძოდ, ქირურგიული ჩარევით სახის მიმიკის შეცვლა გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ქალბატონები სხვაგვარად რეაგირებენ და აღიქვამენ ცხოვრების ნებისმიერ მოვლენას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პლასტიკის შემდეგ სახე „გაქვავებული“ ხდება, ადამიანს აღარ შეუძლია გაოცების, შიშის ან რაიმე სხვა ემოციის გადმოცემა. მიმიკასთან დაკავშირებული სირთულეების გარდა, პაციენტებს ოპერაციის შემდეგ პრობლემები ექმნებათ ფსიქიკასთან დაკავშირებითაც. საქმე ისაა, რომ ოპერაციისას, შესაძლოა, შეხება მოხდეს ნერვულ დაბოლოებებთან, რაც დროთა განმავლობაში ნერვულ შეტევას იწვევს. პლასტიკის ყველაზე ნეგატიურ შედეგად, სწავლულების აღმოჩენით, ტვინის დაბერების დაჩქარება მიიჩნიეს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ექსპერიმენტში მონაწილეთა ტვინი, ვისაც კი ერთხელ მაინც ჰქონია პლასტიკური ოპერაცია გაკეთებული, უფრო ჩქარა ბერდებოდა, ვიდრე იმ მონაწილეებისა, ვისაც გაახალგაზრდავების ამ მეთოდისთვის არც ერთხელ მიუმართავს.

## ტყუპი სხვადასხვა კაცისგან გააჩინა

აშშ-ში, ნიუ-ჯერსის შტატში უჩვეულო შემთხვევა მოხდა. ქალმა ტყუპი გააჩინა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მათ სხვადასხვა მამა ჰყავდათ. ამის შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ქალმა ალიმენტის გადახდა მოსთხოვა მამაკაცს, ვინც ბავშვების მამად მიაჩნდა. კაცმა უარი განაცხადა და საქმე სასამართლომდე მივიდა. დნმ-ის ანალიზის შედეგები კი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ყველასთვის — ტყუპების მამა სხვადასხვა კაცია. როგორც მედიაში წერენ, მსგავსი შემთხვევები ადრეც ყოფილა, თუმცა, ძალიან იშვიათი მოვლენაა. მედიკოსების განცხადებით, ტყუპი სხვადასხვა მამისგან მაშინ შეიძლება დაიბადოს, თუ ქალს დროის მოკლე მონაკვეთში ორ სხვადასხვა მამაკაცთან ექნება სქესობრივი კონტაქტი. სასამართლოზე ბავშვების დედამ აღიარა, რომ ერთი კვირის განმავლობაში სხვა პარტნიორიც ჰყავდა. მოსამართლის ვერდიქტის თანახმად, მოსარჩელე ალიმენტს მხოლოდ ერთ ბავშვზე მიიღებს — ტყუპისცალს მამა კვირაში 28 დოლარს გადაუხდის.

## თეფშები კერძისთვის ფოტოს გადასაღებად

ისრაელში, ტელ-ავივში მდებარე რესტორანის Catit დაკვეთით, საინტერესო დიზაინის თეფშები დაამზადეს. ისინი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვისაც მირთმეული კერძისთვის ფოტოს გადაღება უყვარს. აუცილებელია, ფეხი ავუწყოთ თანამედროვე ტენდენციებსა და ახალგაზრდა თაობის მოთხოვნებს. ეს ჩვენს რესტორანს უფრო წარმატებულს გახდის, — აცხადებენ დაწესებულების მფლობლები. თეფშები განსხვავებული დიზანის და ფერისაა, თუმცა, ყველა მათგანი განსაკუთრებით მოსახერხებელია ფოტოს გადაღებისთვის. მათ ე.წ. სატრიალო მოწყობილობ აქვს, რაც კერძის ყველა რაკურსიდან აღბეჭდვას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს სმარტფონის სადგამიც მოჰყვება, მოთხოვნის შემთხვევაში კი, რესტორნის კლიენტს შეუძლია ისეთი დიზაინის თეფშიც მიიღოს, რომელზეც ფოტოკამერის დაყნებაც იქნება შესაძლებელი.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 3 | 1 | 6 | 4 | 5 | 9 | 8 |
| 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 3 | 2 | 4 | 6 |
| 6 | 5 | 4 | 8 | 2 | 9 | 7 | 3 | 1 |
| 7 | 4 | 9 | 6 | 5 | 8 | 1 | 2 | 3 |
| 3 | 8 | 6 | 4 | 1 | 2 | 9 | 7 | 5 |
| 5 | 2 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 | 8 | 4 |
| 9 | 3 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 2 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 5 | 8 | 6 | 7 |
| 8 | 6 | 7 | 2 | 4 | 1 | 3 | 5 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 4 | 6 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 3 | 6 | 2 | 4 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 |
| 1 | 9 | 5 | 3 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 9 | 1 | 3 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 5 | 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 3 | 4 |
| 6 | 8 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 | 9 | 1 |
| 9 | 4 | 8 | 5 | 7 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 2 | 3 | 7 | 9 | 6 | 1 | 4 | 5 | 8 |
| 5 | 1 | 6 | 8 | 4 | 2 | 9 | 7 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 3 | 8 | 6 | 5 | 9 | 1 | 2 |
| 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 7 | 8 | 3 | 6 |
| 9 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 5 | 7 | 4 |
| 8 | 6 | 9 | 7 | 1 | 4 | 3 | 2 | 5 |
| 3 | 5 | 7 | 6 | 8 | 2 | 4 | 9 | 1 |
| 1 | 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 6 | 8 | 7 |
| 7 | 3 | 8 | 2 | 5 | 6 | 1 | 4 | 9 |
| 6 | 9 | 4 | 1 | 7 | 3 | 2 | 5 | 8 |
| 2 | 1 | 5 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 2 | 1 | 5 | 4 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 7 | 5 | 4 | 9 | 3 | 8 | 6 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 7 | 8 | 6 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 1 | 9 | 6 | 4 | 2 | 7 | 3 | 5 | 8 |
| 4 | 8 | 5 | 3 | 9 | 1 | 7 | 6 | 2 |
| 2 | 7 | 1 | 6 | 4 | 9 | 8 | 3 | 5 |
| 8 | 4 | 9 | 5 | 1 | 3 | 2 | 7 | 6 |
| 5 | 6 | 3 | 7 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 |

მე-10 გვერდი: 1. ჩარგალი; 2. ასტანა; 3. გელათი; 4. ლიტი; 5. ტყიბული; 6. ყავახანა; 7. ბეტონი; 8. ლეია; 9. სტილეტი; 10. ეტიკეტი; 11. ასტრახანი; 12. სირია; 13. ავსტრია; 14. ეკო; 15. იზიდა; 16. შლიახტა; 17. ათენი; 18. ტესტი; 19. ლაზიკა; 20. ცხენი; 21. ბატისტი; 22. ტერფი; 23. პირი; 24. ანდაზა; 25. ისიდორე; 26. „აუდი“; 27. იაკობი; 28. პული; 29. რეგლანილ 30. სნო; 31. აგა; 32. რაკურსი; 33. ანეტო; 34. ურა; 35. კოატა; 36. ასა; 37. დეკა; 38. შოვი; 39. ლაგუნა; 40. დინგი; 41. ირენ; 42. არტახი; 43. ლაბა; 44. მასრა; 45. ელი; 46. რა; 47. ზაგრები; 48. ინა; 49. მნე; 50. ნეზვი; 51. ორე; 52. ადიდა; 53. მეი; 54. ბაშო; 55. ბიზე; 56. სილაში; 57. კიი; 58. „კარტიე“; 59. პაი; 60. იორდანე; 61. სე; 62. შვრია; 63. ენა; 64. იკერ.

მე-12 გვერდი: 1. წრიაპი; 2. რუსო; 3. ამბიცია; 4. დგვიფი; 5. გავიალი; 6. იანგონი; 7. ასაბია; 8. ინსაიდი; 9. ქეცი; 10. ავენიუ; 11. გენოციდი; 12. შუნი; 13. კოლიბრი; 14. სლენგი; 15. იოგა; 16. ინრო; 17. საკე; 18. აია; 19. ვარცლი; 20. ბრიტანიკა; 21. კვაგა; 22. ერქვანი; 23. ფისო; 24. სოფია; 25. ლტოლვილი; 26. ოინი; 27. მანდატი; 28. ფენი; 29. იმიტატორი; 30. ტაქტიკა; 31. ტროტილი; 32. რკო; 33. ეოსი; 34. აზალია; 35. ლიე; 36. სილიო; 37. ოდესა; 38. არაქნოლოგია; 39. მორმონები; 40. ნაგანო; 41. „ლუნა“; 42. აგუნა; 43. სვაროგი; 44. „ორტ“; 45. ლარი; 46. ტიფონი; 47. პოლიგინია; 48. ტატუ; 49. რეგოლიტი; 50. სია; 51. ურალი; 52. უკულელე; 53. გალი; 54. ციკანი; 55. კალა; 56. ცენტრიფუგა; 57. აბაკა; 58. ალია; 59. ოკა; 60. კლუნი; 61. იპრი; 62. ენიო; 63. სტოა; 64. ედა; 65. ანუი; 66. „დდტ“; 67. სემი; 68. იაბო; 69. ყბა; 70. მანდრილი; 71. ალ; 72. ბალასტი; 73. პინტურიკიო; 74. დიაოხი; 75. იდო; 76. პრომილე; 77. უდე; 78. დირე; 79. უპე; 80. ესერი; 81. ელე. გამუქებულ უჯრებში იკითხება: სამი გრაცია.

## ასპირინი სიბრმავეს იწვევს

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ის ადამიანები, ვინც რეგულარულად მოიხმარენ ასპირინს, უფრო ხშირად დგებიან თვალის დაავადების — ბადურას ასაკობრივი დეგენერაციის წინაშე, რომელიც საბოლოოდ სიბრმავეს იწვევს. სწავლულებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან ეს დამოკიდებულება აღმოუჩინეს პაციენტებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში მაინც იღებდნენ ასპირინს. მედიკოსების განცხადებით, მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით ერთი პროცენტი, ადრე თუ გვიან, თვალის ამ პრობლემას აწყდება. მკვლევარებმა 20 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ შეისწავლეს 43 წელს გადაცილებული 5 ათასი პაციენტის ავადმყოფობის ისტორია და აღმოაჩინეს, რომ ასპირინის მიღების პერიოდში მათ ოფთალმოლოგიური დაავადების სხვადასხვა ფორმა გამოუვლინდათ. ამასთან, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ პრეპარატის მკურნალობა არ იწვევს მსგავს რისკს.



1. პირადი მოხმარების საგნების საფეხურ სახელწოდება
2. ბანქოს თაღლითი მოთამაშე
3.მედიც. დარგი, სწავლობს დაბერების პროცესებს
4. ხოხბის ბარტყი
5. ეკლიანი ბალახი
6. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
7. ქუჩების რთული, დახლართული განლაგება
8. ქალაქი თურქეთში
9. ანტილოპას სახეობა
10. ქალაქის გაიდეალება ხელოვნებაში
11. ხმის გამაძლიერებელი კონუსური მილი
12. ბავშვის მოსანათლავი საეკლესიო ჭურჭელი
13. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
14. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში
15. მდინარე იტალიაში
16. ამერიკული ეროტიკული ჟურნალი
17. შებოლილი ხორცი
18. დიდი თევზსაფერი ბადე
19.ყველაზე მსხვილი თითი ადამიანის კიდურზე
20. ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბი
21. გადამდნარი კარაქი
22.მაჟორის საპირიპირო წყობა მუსიკაში
23. მდინარე დასავლეთ ევროპაში
24. მესამე პირის ნაცვალსახელი
25. ქალაქი გერმანიაში
26. მერი პოპინსის „ლიტერატურული დედა“
27. გლეხი შუა აზიასა და ირანში
28. ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი
29. მომკილი თავთავის კონა
30. ვენეციელი მაერი
31. წესიერი თორმეტწახნაგა სხეული
32. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება
33. ქვეყანა ჰიმალაის მთიანეთში
34. უდაბნო სამხრეთ ამერიკაში
35. ქალაქი დასავლეთ თურქეთში
36.ქართული ხალხური დასარტყამი საკრავი
37. ქართული ანბანის ასო
38.ჩინელთა ბელადი
39.ისრის წვერი
40. ყურძნის მცენარე
41.ქარების მბრძანებელი ბერძნულ მითოლოგიაში
42. უდაბნო აფრიკაში
43. პენელოპეს მეუღლე
44. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
45. მთის წაწვეტებული მწვერვალი
46. სპოროვანი მცენარე
47. ფეხბურთის სახელწოდება იტალიაში
48.მდინარე ჩეხეთსა და გერმანიაში
49. ივივეა, რაც ჟარგონი
50. მდიდრული აგარაკი
51. ნიკო ფიროსმანის შინაურული სახელი
52. ჰიგიეური დაწესებულება
53. რაიონული ცენტრი სვანეთში
54.აშშ-ის ტელეპრემია
55. ლომი სიმბას მამა
56. ჭაობის მცენარე
57. პატარა კენგურუ
58. მზის ამოსვლა
59. დულსინეას ნამდვილი სახელი
60.ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური პრემია
61. სუმოისტების სპეციალური ქამარი
62. არა-მომთაბარე გლეხი არაბულ ქვეყნებში
63. თქმულება, ლეგენდა სკანდინავიაში
64. ხორციანი კორკოტი
65.დაბალი და გამხდარი ტა-ნის კაცი
66. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
67. გოგოს მოსახსენიებელი დამცინავი სიტყვა
68. სალი, პიტალო კლდე
69. ამერიკელი კინომსახიობი მამაკაცი
70. თურქეთის დედაქალაქი
71. გასართობი წარმოდგენა
72. იატაკზე დასაფენი ქსოვილი
73. დამუხტული ატომი
74. ჯუჯა კამერი
75. ბუდას დედის სახელი
76. შხამიანი გომბეშო
77. გაზაფხულის ყვავილი
78. ძიუდოს შემქმნელი
79. მაუგლის მეგობარი პითონი
80. ალ. დიუმა მამას რომანი
81. პატარა გამოქვაბული კლდეში
82.სუმოისტ ლევან ცაგურიას ფსევდონიმი
83. კორეული ავტომარკა
84. ვიოლინოების იტალიელი ოსტატი
85. ძველი ფრანგული ხურდა ფული
86. თუთიყუშის სახეობა
87. მუსიკალური ინსტრუმენტი, ჩანგი

# ინოვაციური მაცივარი ამერიკელებისგან

ამერიკელ დიზაინერთა ჯგუფმა ახალი მაცივარი შექმნა, რომელიც არა მხოლოდ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს დიზაინით, ტევადობითა და ენერგომოცულობით, არამედ შეუძლია პროდუქტის გამოყვანა, როგორც სათბურში. ეკომაცივარი ეკოსისტემაა, სადაც სითბო და ტენიანობა, რომელიც პროდუქტის ყინვისა და ლღვობის დროს გამოიყოფა, სხვადასხვა მცენარის თესლისა და სოკოს აღმოცენებისთვის გამოიყენება. ბოსტნეულისთვის განკუთვნილი განყოფილება სავსებით გამორიცხავს ობის წარმოქმნას, რადგან ბოსტნეული თუ მწვანილი მაცივარში დაკიდებულ მდგომარეობაში ინახება. სასათბურე განყოფილება აღჭურვილია სენსორული ეკრანით, რომლის დახმარებათაც შესაძლებელია ტემპერატურის, ტენიანობისა თუ განათების რეგულირება. მაცივრის სექციები ერთმანეთს არ უკავშირდება და ამიტომ სუნიც არ ირევა. ეკომაცივარი, პირველ რიგში, ვეგეტარიანელებზეა გათვლილი, თუმცა ნებისმიერ ოჯახს გამოადგება.


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.